 გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№124 (880) 25 – 26 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

SOS საფრთხე!



გვ. 8

ბავშვებში სიმსივნის შემთხვევები გაათმაგდა — არ აჭამოთ პატარებს გენმოდიფიცირებული პროდუქტი!

გადაარჩევს თუ არა ივანიშვილის წასვლა ქართველ პოლიტიკოსებს ტყუილის თქმას

გვ. 3

„მაკდონალდსში“ უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა დაინერგა

გვ. 7

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

„საქართველოს ბანკის“ ახალი თაობის ტერმინალები და VISA-ს მარტივი პროდუქტი სერვისს უფრო სწრაფს, უსაფრთხოსა და კომფორტულს ხდის

ღარიბაშვილისა და კალაძის საპასუხისმგებლო მისია ანუ როტაცია „ქართულ ოცნებაში“

რეპორტაჟი ყრილობიდან

გვ. 2

ნაციონალებისგან შეშინებულ-დამფრთხალი ინვესტორები

„დაბი ჯგუფის“, „რაკიინ დეველოპმენტისა“ და ყაზახი ინვესტორების „ვარდისნული“ პრობლემები

გვ. 6

მიხეილ მაჭავარიანი ზურაბ ჟვანიას საქმეზე სკანდალური განცხადების გაკეთებას გეგმავს?!

გვ. 5

„9 დეკემბერს 50 წლის გახდებოდა... მისმა იუბილემ გადაიაროს და დეტალურად მოგიყვებით, ვინ იყენებდა სათავისოდ ზურას გარდაცვალებას...“

დავით ნარმანია: „პოლიტიკოსი მერი არ ვიქნები“

„მე პოლიტიკოსი მერი კი არა, სამეურნეო საქმიანობით დაკავებული მერი ვიქნები“, — აცხადებს კოალიცია „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი, ინფრასტრუქტურის მოქმედი მინისტრი დავით ნარმანია, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ნდობისთვის მადლობას უხდის.

„41 გამოყოფილ პრობლემას 41 ამოცანით დავუპირისპირდებით“, — ამბობს ნარმანია და დასძენს, **„გამოვხატავ მზაობას იმასთან დაკავშირებით, რომ ვიყო იქ, სადაც ჩემს ქვეყანას სჭირდება. ამ შემთხვევაში არჩევანი არის ის, რომ დედაქალაქში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს შევეჭიდო იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მიცხადებენ ნდობას“.**

მისივე თქმით, პრობლემებით დატვირთული დედაქალაქის მერობა, ერთი მხრივ, დიდი გამოწვევაა, თუმცა მეორე მხრივ, დიდი პატივია.

დავით ნარმანია მინისტრობამდე, სხვადასხვა დროს იყო „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ კი, გამგეობის თავმჯდომარე. ასევე, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, აშშ-ს განვითარების ინსტიტუტის, მსოფლიო ბანკისა და სხვა ორგანიზაციების ექსპერტი.

არის 24 სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომის ავტორი და 34 სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი. ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს.

„ინტერპრესნიუსი“

თეა წულუკიანი: „ბიძინა ივანიშვილის წასვლა პრემიერაა ქართულ პოლიტიკაში“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის თქმით, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა შეესაბამება იმ დასავლურ ევროპულ პრინციპს, რომლის თანახმადაც მთავრობები მიდიან და მოდიან, ხოლო ქვეყანა აგრძელებს ცხოვრებას.

„მისი პოლიტიკიდან წასვლა ჩვენთვის, რა თქმა უნდა, უსიამოვნო იყო, მაგრამ ეს არის ის პრემიერა ქართულ პოლიტიკაში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის და შეესაბამისება დასავლურ, ევროპულ პრინციპს. პოლიტიკური სცენიდან წასული პოლიტიკოსები უკვე აძლიერებენ სამოქალაქო სექტორს და, როგორც თავად ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, არიან რიგითი ჯარისკაცები თავისი ქვეყნისა“, — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, ივანიშვილმა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დასრულებით შეუძლებელი შეძლო:

„მინდა, მადლობა გადავუხადო, რადგან მან შეძლო შეუძლებელი. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დასრულება, რაც საქართველოს მოსახლეობას მიუღწევლად ეჩვენებოდა, ბიძინა ივანიშვილმა ძალების გაერთიანებით გააკეთა და ამისთვის ყოველი ჩვენგანისგან ეკუთვნის მადლობა“.

„ინტერპრესნიუსი“

ღარიბაშვილისა და კალაძის საპასუხისმგებლო მისია ანუ როტაცია „ქართულ ოცნებაში“

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

24 ნოემბერს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ რიგით მესამე ყრილობა გაიმართა, სადაც დელეგატებმა პოლიტსაბჭოს წევრები აირჩიეს. ახალი წესდებით, პოლიტსაბჭოს შემადგენლობა 21-დან 12-მდე შემცირდა. პოლიტსაბჭოს წევრებად კახა კალაძე, ნოდარ ხადური, ირინა იმერლიშვილი, გიორგი ვოლსკი, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, დავით საგანელიძე, თამაზ ავდალიანი, ირაკლი ტრიპოლსკი, თემურ ჭკუასელი, ირაკლი სესიაშვილი და არმაზ ახვლედიანი აირჩიეს, პარტიის თავმჯდომარედ — პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გენერალურ მდივნად კი — საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე.

როგორც ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ყრილობაზე გამოსვლისას აღნიშნა, პარტიამ ევროპისა და მსოფლიოს პროგრესულ პოლიტიკურ ძალებთან უნდა ითანამშრომლოს, ასევე სოციალური სამართლიანობის, თითოეული მოქალაქის თავისუფლების, თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების არსებობისთვის ბრძოლაში აქტიურად ჩაერთოს: **„პარტია აღიარებს კონკურენციაზე დამოკიდებული ანუ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებულ სახელმწიფოს იდეას, რომლის ძირითადი მიზანი ეროვნული კეთილდღეობის სტრატეგიის შემუშავება და ცხოვრებაში გატარებაა. პარტია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა, მათ შორის, ნებისმიერი უმცირესობის უფლებების დაცვის კუთხით, საზოგადოებრივი აქტიურობისა და ჩართულობის ხელშეწყობა, მისი პასუხისმგებლობისა და მატერიალური დამოუკიდებლობის ამაღლება სამოქალაქო საზოგადოებისკენ მიმავალი სწორი გზაა. პოლიტიკური ძალა ქვეყნის კონსტიტუციის სრული დაცვითა და საქართველოს საშინაო ინტერესებიდან გამომდინარე, საგარეო ურთიერთობების კურსს განსაზღვრავს; ამასთან პარტიის მთავარი ამოცანაა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა და მშვიდობიანი გზით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება კი სახელმწიფო უშიშროების მთავარი წინაპირობაა. ეს ხელს უწყობს როგორც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდას, ისე კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას. ჩვენი პოლიტიკური არჩევანი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციაა, რაც ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი პირობაა“.**

ღარიბაშვილის განცხადებითვე, ამიერიდან, პარტია თვისებრივად ახალ ეტაპზე გადადის, შეიცვალა მისი სტრუქტურა და მმართველობის წესიც. **„ქართული ოცნება“ ქვეყნის მმართველ კოალიციაში შემავალი ყველაზე დიდი პარტიაა. სწორედ ეს არის ჩვენი პარტიის მთავარი გამოწვევაც“,** — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ მადლობა იმ ადამიანებს გადაუხადა, რომლებსაც პარტიის წარმატებაში წვლილი მიუძღვით, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილს: **„მე და ირაკლი ღარიბაშვილს საპასუხისმგებლო მისია დაგვეკისრა. ჩემი წარსული ცხოვრებიდან გამომდინარე, კარგად მესმის, რამდენად მნიშვნელოვანია გუნდურად მუშაობა და გუნდურად მუშაობის გამარჯვების ეშხიც ვიცი. მადლობას ვუხდი თითოეულ ადამიანს, ვინც ამ პარტიაში მუშაობდა და ის დღემდე მოიყვანა. ყველაფერს გავაკეთებთ პარტიის გაძლიერებლად“.**

„ქართული ოცნების“ რიგით მესამე ყრილობა იმითაც გამორჩეული, რომ **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ სამომავლო გეგმებზე ჩამოსაყალიბებლად 2-3 თვე სჭირდება: **„სამოქალაქო სექტორში გადავდივარ, ამიტომ, დაახლოებით, ორი-სამი თვე ჩამოსაყალიბებლად მჭირდება. ამის შემდეგ კი მოცემულობის მიხედვით ვიმოქმედებ“.**

მანამდე კი, ყოფილი პრემიერის განცხადებით, პარტიას საიმედო ხელში ტოვებს: **„პარტიის გენერალური მდივანი კახი კალაძე ჩვენს პარტიაში ნიჭიერებითა და პასუხისმგებლობით გამორჩეული სახეა. მართალია, ჯერ პოლიტიკაში ახალგაზრდაა, თუმცა შესაშური მიზანსწრაფულობა და შეუპოვრობა გამოიჩინა. ყველაფერთან ერთად, კახი ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი ადამიანია. ასე რომ, პარტიას საიმედო ხელში ვტოვებ“.**

გადაარჩევს თუ არა ივანიშვილის წასვლა ქართველ პოლიტიკოსებს ტყუილის თქმას

გიორგი გვიდიანი

ქართველებს ერთი, მეტად უცნაური თვისება გვჭირს — როცა რამე გვინდა, მის მოპოვებას ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხით ვცდილობთ და მერე უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, ამ მონაპოვარს გავუფრთხილდებით თუ არა. მთავარია, შევძელით, მოვიპოვეთ და... შესაძლოა, ვინმეს გაეცინოს, მაგრამ ჩვენ ვერც ბიძინა ივანიშვილს გავუფრთხილდით, უფრო ზუსტად კი არ გვეგონა, თუ გასაფრთხილებელი იქნებოდა, რადგან არ ვიყავით შეჩვეულები ქართულ პოლიტიკაში მის დარ ადამიანებს. არადა, პოლიტიკაში მოსვლის პირველივე დღიდან ბატონმა ბიძინამ განაცხადა, მხოლოდ ერთი ან ორი წლით მოვდივარ, მერე კი ქვეყანას საზრიან ადამიანებს დავუტოვებ და წავალო. ვერავინ (მათ შორის ვერც ამ სტატიის ავტორი) წარმოიდგენდა, რომ იქნებოდა საქართველოში ადამიანი, რომელიც ძალაუფლებას ნებით დათმობდა. სწორედ ამიტომ მაშინ ხალხს ულტიმატუმის ენით საუბარი არ დაუწყია და არ უთქვამს, თუ აგირჩევთ, მინიმუმ 4 წელი უნდა გაუძღვე ქვეყანასო და არჩევის შემდეგ, როცა ფაქტის წინაშე დავდექით, კი ამოიღო მოსახლეობამ ხმა, მაგრამ ივანიშვილმა აღნიშნა, სიტყვა არასოდეს გამიტეხიაო და ძნელია, ასეთ დროს კაცს შეედავო. ის წავიდა, წავიდა ისე, როგორც დაგვპირდა, პოლიტიკაში მოსვლიდან ორი, ხოლო ხელისუფლებაში ყოფნის ერთი წლის თავზე. ახლა ენაც არავის მოუტრიალდება სათქმელად, რომ ივანიშვილმა ძალაუფლებას გემო ვერ გაუგო და ამიტომ დათმო. რეალურად, მას ძალაუფლება ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ ახლა ჩანს, რომ ამას არასოდეს ესწრაფვოდა. მაშინ, რა უნდოდა ივანიშვილს, რატომ მოვიდა, რატომ დატოვა ერთი შეხედვით, ბევრი კითხვა და რისთვის მიდის სამოქალაქო სექტორში?

პირველად ფართო საზოგადოებამ ბიძინა ივანიშვილი 2005 წლის 7 აპრილს გაიცნო, როცა ქართველი მილიარდერის პირველი საგაზეთო ინტერვიუ დაიბეჭდა. სწორედ მაშინ განაცხადა მან მსოფლიოს გასაგონად, რომ ფული პატიოსანი შრომით ჰქონდა ნაშოვნი და მის ბიოგრაფიაში ერთი შავი ლაქაც კი არ იყო. 90-იანი წლების რუსეთში, არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამის დაჯერება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მაშინ ივანიშვილმა მსოფლიო გამოიწვია, როცა აღნიშნა, ერთი შავი ლაქა მიპოვეთ და პასუხს ვაგებო. მაშინ ვერავინ ვერაფერი იპოვა და, შესაძლოა, საფუძვლიანად არც არავის უძებნია, მაგრამ საქართველოში აშკარად ეძებდნენ. „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ ბატონი ბიძინას მილიარდების გადმობარება განიზრახა, მაგრამ ხელმოსაჭიდი ვერაფერი უპოვა. პარალელურად, ივანიშვილი ნებით ორი წლისა და ექვსი თვის განმავლობაში პარლამენტარებსა და მინისტრებს ხელფასს საკუთარი ჯიბიდან უხდიდა, აფინანსებდა ახალი ტიპის პოლიციის შექმნას, რომელიც საპატრულო პოლიციის სახელით მოგვევლინა ანუ ივანიშვილი აფინანსებდა კანონის უზენაესობას საქართველოში, იმას, რაც ჩვენთან უბრალოდ არ იყო და ცდილობდა, ამით დაენახებინა, რომ მხოლოდ სამშობლო აღელვებდა და სტკიოდა. ალბათ, ახლადჩამოყალიბებული პატრულის პირველი თვეები ყველას გახსოვთ. ეს სტრუქტურა სანდოობის კუთხით ლამის ეკლესიას გაუტოლდა, მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ პოლიცია ხელისუფლების ხელში სადამსჯელო იარაღად იქცა და ივანიშვილმაც დაფინანსებაზე უარი თქვა.

ამას კი ის მოყვა, რომ საქართველოში არსებული მისი ბიზნესები შეავიწროვეს, თუმცა რამდენიმემილიონიანი ქონების წართმევა-წაგლეჯით მის ფინანსურ იმპერიას რომ ვერაფერს უზამდნენ, ნაციონალებმაც კარგად იცოდნენ. მათ სპეციალური სამსახურიც კი შექმნეს, რომ ივანიშვილისთვის ჩაევლოთ და მის ბიოგრაფიაში რამე ისეთი ენახათ, რაც საშუალებას მისცემდათ, ხალხის თვალში მისი ავტორიტეტი გაენულებინათ. იმის მიუხედავად, რომ ბატონი ბიძინა არსად ჩანდა, ხალხი მას პატივს სცემდა, უყვარდა და, რაც მთავარია, ელოდა. ამ მოლოდინს ივანიშვილიც გრძნობდა, მაგრამ მაქსიმალურად თავს იკავებდა. მას რომ მინისტრის პოსტი და პოლიტიკური ძალაუფლება ნდომებოდა, მარტივად მოიპოვებდა ნაციონალების ხელში, მაგრამ ეს არასოდეს ხიბლავდა, რაც ახლაც დაამტკიცა. მეორეს მხრივ, მას თვალწინ ჰქონდა ბადრი პატარკაციშვილის მაგალითი, მილიარდერის, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ჩაერია და გარდა იმისა, რომ ყველაფერი დაკარგა, ვერ შეძლო მთავარი — მოსახლეობის გათავისუფლება რეჟიმისგან. სამაგიეროდ, ნაციონალებმა დაამტკიცეს, რომ საკუთარ ხალხზე ძალადობას არ მოერიდებოდნენ და ეს კიდევ ერთი მესიჯი იყო ივანიშვილისთვის, რომ მას მოქმედ ხელისუფლებასთან ყოველგვარი კავშირი უნდა გაეწყვიტა...

ეს ყველაფერი იმისთვის გიამბეთ, რომ უფრო ნათლად დავინახოთ, სად იყო, საიდან და რისთვის მოვიდა ხელისუფლებაში ივანიშვილი და რისთვის ტოვებს თითქმის აბსოლუტურ ძალაუფლებას. მით უმეტეს, რომ საზოგადოებაში კითხვები დაგროვდა და ბევრი ხმამაღლა ამბობს კიდეც, ეს კაცი პასუხისმგებლობას გაურბისო.

თავად ივანიშვილმა წასვლამდე საზოგადოებას ვრცელი წერილით მიმართა და შეეცადა, საკუთარი გადაწყვეტილების მართებულობა აეხსნა. რეალურად, ვისაც გაგება სურდა, რატომ მიდის ივანიშვილი, გაიგო, მაგრამ გარკვეული ეჭვები მაინც გაღვივდა. არის თუ არა მისი ნაბიჯი გაქცევა მაშინ, როცა ბატონი ბიძინა არ მოერიდა და საკუთარი ოჯახის წევრების სიცოცხლე სასწორზე დადო. თან ეს არ იყო რიგითი ადამიანების სიცოცხლე, ეს იყო ყველაფრით უზრუნველყოფილი ხალხის მთელი დარჩენილი ცხოვრება.

„მთელი ჩემი ცხოვრებით, მთელი ჩემი ბიოგრაფიით დავამტკიცე, რომ უკადრისი არასოდეს არაფერი ჩამიდენია. ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში მომიწია ყოფნა და საქმიანობა. ეს მართლაც ურთულესი პერიოდი იყო, ბიზნესი ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ძალიან მოკლე დროში უამრავი საკუთრება გაიცა და ხშირად ეს უხეშ ფორმებსაც იღებდა. რთული იყო ასეთ ვითარებაში გამჭვირვალე და კანონიერი ბიზნესის კეთება. და მიუხედავად ამისა, ჩემი ბიზნესი იყო სრულიად სამაგალითო და გამჭვირვალე. ბევრს ეცადნენ, ბევრი ეძებეს ოპონენტებმა, მათ შორის უცხოელებმაც, მაგრამ ვერც ერთი შავი ლაქა ვერ იპოვეს ჩემს ბიზნესში. მე არათუ კანონი არ დამირღვევია არასდროს, კონტრაქტიც კი არ მომიშლია, მეტიც, სიტყვაც არ გამიტეხია“...

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მთავარი მესიჯი და უდიდესი იმედი ივანიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილის ამ ფრაზის ბოლო წინადადებაა. ბატონმა ბიძინამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ სიტყვა მართლაც არასდროს გაუტეხია და იმის გათვალისწინებით, რას დაპირდა ის საქართველოს მოსახლეობას, ორი წლის შემდეგ როგორც მატერიალური, ისე სხვა სიკეთე თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ თავზე უნდა იგრძნოს.

რაც შეეხება „რუხი კარდინალის“ მანტიას. ქვეყნის კულუარებიდან მართვა რომ სდომებოდა, ამას ივანიშვილი ჯერ შევარდნაძის დროს შეძლებდა ძალიან მარტივად, მერე კი სააკაშვილის პრეზიდენტობისას. ის იყო მთავარი დამფინანსებელი არა გარკვეული ჯგუფისა, არამედ პრაქტიკულად მთელი ქვეყნის და პრინციპით, ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, არასდროს უსარგებლია. მთელი იმ აბსურდის თეატრისა და პიარისაა, რასაც 9 წლის განმავლობაში დგამდა, ერთმა ნაციონალმაც ვერ გაბედა ეთქვა, რომ მას ივანიშვილმა ოდესმე რამე სთხოვა. არა, ის არაფერს თხოულობდა, მხოლოდ გასცემდა და სანაცვლოდ ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე დგომას ავალდებულებდა საკუთარ თავსაც და სხვასაც. მან დაამკვიდრა მსოფლიოსთვის უცნაური სტანდარტი პოლიტიკური გულახდილობისა და არც მალავს, რომ მისივე გუნდის წევრები ამის გამო ხშირად სწორედ კულუარებში ეუბნებოდნენ მცირეოდენ საყვედურს. რეალურად, მსოფლიო პოლიტიკისთვის უცნობი ადამიანი საყოველთაო ინტერესის საგნად იქცა და ამერიკელი თუ ევროპელი პოლიტიკოსები არც მალავენ, რომ ეს მაგალითი შესაძლოა მალე სახელმძღვანელოებშიც გამოჩნდეს. მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის სათავეში მოსვლა, ძალაუფლების ხელში აღება და მერე ამ ყველაფრის ისე დათმობა, რომ სანაცვლოდ არაფერი მოითხოვო.

„ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალგაზრდა ძალები, თუმცა მათ არც ვემხრობი და არც ვეწინააღმდეგები. სულ ეს შემიძლია გითხრათ. არც ერთ მათგანთან კონტაქტი არ მაქვს. ძალიან განცალკევებით ვცხოვრობ. ურთიერთობა მაქვს მხოლოდ ნათესავებთან, ახლო მეგობრებთან. პოლიტიკური ამბიციები არ გამაჩნია, უბრალოდ მინდა წყნარი ცხოვრება ოჯახთან ერთად. მშობლიურ ჭორვილას მხოლოდ ბიზნესის გამო ვტოვებ ხოლმე“...

ესეც 2005 წელს ჩაწერილი ინტერვიუდან არის. ადამიანი, რომელსაც შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იცხოვროს, მშობლიურ სოფელში იმყოფება და ამას იმიტომ კი არ აკეთებს, მერე ვინმემ რომ თქვას, აი, ივანიშვილი როგორი თავმდაბალი და პატრიოტიაო, არამედ იმიტომ, რომ რეალურად ეს სურს, ეს უხარია...

სხვათა შორის, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ პარლამენტის ტრიბუნიდან მეტად საინტერესო რამ თქვა: **„ისე არ უნდა ვიმუშაოთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციაში წავიდეს, თორემ რას ნიშნავს ივანიშვილის ოპოზიციონერობა, ყველამ კარგად დავინახეთ“...**

რა გამოდის? ივანიშვილი ტოვებს გუნდს, რომელმაც კარგად იცის, რომ თუ აღებულ კურსს გადაუხვევს, ხელისუფლება, რომელიც ერგოთ, შესაძლოა თვალსა და ხელს შუა გაუქრეთ და გაუქრეთ იმავე ადამიანის მეშვეობით, რომელმაც ეს ხელისუფლება რეალურად მისცა. ეს არ არის შიში, ეს არის პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ამჟამინდელი ხელისუფლების თითოეული წევრის ქცევაში იგრძნობა.

ივანიშვილი საკუთარ წერილში არც იმას მალავს, რომ გარკვეული გავლენა ექნება და სწორედ ეს დაიხვიეს მისმა ოპონენტებმა ხელზე. სწორედ იმ ოპონენტებს მინიმუმ ვაცლავ ჰაველის მაგალითი უნდა ჰქონდეთ თვალწინ. ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატ ლიდერად აღიარებულმა ჰაველმა პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ უდიდესი გავლენა არამარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში შეინარჩუნა და ამის გამო მისთვის რუხი კარდინალი არავის უწოდებია. პირიქით, საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი ამბობდა, რომ მისთვის ჰაველი მისაბაძი მაგალითი იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰაველს ბაძავდა.

„მე მოვახერხე და გავაერთიანე პოლიტიკური ძალების საუკეთესო ნაწილი, ერთ მუშტად შევკარი საზოგადოება და ვაიძულე სააკაშვილის რეჟიმი მშვიდობიანად, უსისხლოდ გადმოებარებინა ხელისუფლება. და ახლა, როდესაც ხელისუფლებაში ნამდვილი დემოკრატიული ძალები მოვიყვანე, თავად ხელისუფლების ზენიტში მყოფმა, დავტოვე ხელისუფლება. ეს, ალბათ, ძნელი გასაგებია ბევრისთვის, რადგან ვერავინ დაასახელებს პოლიტიკოსისგან მსგავსი ნაბიჯის გადადგმის მაგალითს“...

ესეც ივანიშვილის წერილის ფრაგმენტია. ძნელი გასახსენებელია საქართველოში პოლიტიკური ბლოკი თუ ალიანსი, რომელიც ასე მჭიდროდ თანამშრომლობდეს ერთმანეთთან და რაც მთავარია, ივანიშვილმა შეძლო ის, რასაც ერი და ბერი წლების მანძილზე ითხოვდა — მან შექმნა კოალიციური მთავრობა და ვერავინ იტყვის, რომ კოალიციაში შემავალი პარტიებიდან რომელიმეს სხვაზე მეტი უპირატესობა და გავლენა აქვს. გარდა იმისა, რომ ძალთა ასეთი გადანაწილება პარტიების ურთიერთთანამშრომლობას უწყობს ხელს, პირველად საქართველოში, პასუხისმგებლობის გუნდურად აღების პრინციპი დამკვიდრდა.

კითხვა, რას გააკეთებს ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში, ალბათ არც უნდა დასმულიყო, რადგან ამ წლების განმავლობაში, ის სწორედ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი იყო და მოსახლეობას მხოლოდ ის აინტერესებდა, ასეთი ადამიანი პოლიტიკაში რატომ არ მოდიოდა. მოვიდა პოლიტიკაში და ბრუნდება იქ, სადაც აშკარად უფრო კომფორტულად გრძნობს თავს და მოქმედების მეტი თავისუფლება აქვს, მაგრამ ივანიშვილს არც ამას ვპატიობთ და პოლიტიკისკენ ძალით ვექაჩებით. ცნება, ყოფილი პოლიტიკოსი, სავარაუდოდ არც უნდა არსებობდეს და სურს თუ არა, ბატონ ბიძინას მუდმივად ექნება ამ თემასთან როგორც პირდაპირი, ისე ირიბი შეხება და საკუთარი რესურსის (როგორც გონებრივი, ასევე მატერიალური) გათვალისწინებით, არცთუ იშვიათად მოუწევს საკუთარი პოზიციის მკვეთრი დაფიქსირება.

წესითა და რიგით, თითოეულ ჩვენგანს ის კი არ უნდა აშფოთებდეს, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის, არამედ ის უნდა უხაროდეს, რომ ის სამოქალაქო სექტორში რჩება. იმის გათვალისწინებით, რომ სადაც კი ივანიშვილი მივიდა, ყველგან გააკეთა ის, რისი პირობაც დადო და არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ მას ახლა არ ვენდოთ. რა იქნება ერთი წლის შემდეგ, დრო გვიჩვენებს, მაგრამ იმის თქმა კი ახლავე შეიძლება, რომ არანაირად არ იქნება იმაზე უარესი, ვიდრე ბოლო წლებში იყო. საბედნიეროდ, საქართველოში ადამიანთა დაშინების, წამებისა და სულში ჩაფურთხების დრო წარსულს ჩაბარდა. პრინციპში, კი არ ჩაბარდა, ხალხთან ერთად ივანიშვილმა ჩააბარა — ესეც რეალობაა, და რეალობაა ისიც, რომ ჯერჯერობით, ბიძინა ივანიშვილს ტყუილი არ უთქვამს!

„ივანიშვილი არ იკადრებს და არც ღარიბაშვილი დათანხმდება მარიონეტის როლს!“

ვაჟა ბერიძე: „საქსტატის“ ინფორმაციით, ბიუჯეტში 650-მილიონიანი გარღვევა არ არის?!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„8-9 თვის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობაში ცვლილებებს განახორციელებს. მეტიც, სამოქალაქო სექტორში გადასული ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილიც მიხვდება, რომ მთავრობაში ტექნოკრატების (პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც პოლიტიკოსების ნაცვლად, მმართველობა მეცნიერებისა და ინჟინრების ანუ ტექნიკური პერსონალის ხელში გადადის, — ავტ.) მმართველობამ არ გაამართლა და მინისტრების სავარძლებს ისევ პოლიტიკოსები დაიკავებენ“, — ფიქრობს ეკონომიკისა და პოლიტიკის ექსპერტი, გაზეთ „ბანკებისა და ფინანსების“ დამფუძნებელი ვაჟა ბერიძე, რომელიც „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში კატეგორიულად აცხადებს, რომ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 650 000 000 ლარით გარღვეული არაა.

— ბატონო ვაჟა, რამდენად ეფექტურად იმუშავებს ახალი მთავრობა 2013 წლის 650 000 000 ლარით გარღვეული ბიუჯეტის ფონზე, გარკვეულ ცვლილებებს ხომ არ ელოდით ეკონომიკურ გუნდში?

— მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებებს არ ველოდი, რადგან მთავრობა, რომელიც ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების, ე.წ. გარდამავალი პერიოდის მთავრობადაც იყო აღქმული, განიხილება როგორც წარმატებული და ეფექტური. ასე აღიქვამს ბიძინა ივანიშვილი, რომლის შეხედულება და აზრი საზოგადოების უმრავლესობის პოზიციას გამოხატავს. აქედან გამომდინარე, რადგან ხალხს სჯერა ივანიშვილის და მის მიერ დასახელებულ პრეზიდენტობის კანდიდატს ხმათა 62%-ს აძლევს, ის მთავრობაც მოსწონს, რომელიც ქვეყანას მართავს. შესაბამისად, აუცილებლობა არ გაჩნდა, მთავრობის შემადგენლობა შეცვლილიყო. რა თქმა უნდა, ცალკეული მიმართულებებით სერიოზული ხარვეზები იყო და მთავრობის გადახალისებაც მიზანშეწონილი იქნებოდა, თუმცა თუ ყოველდღიური პრაგმატიზმის პრიზმაში შევხედავთ, რატომ უნდა გამოცვალოს ივანიშვილის დაკომპლექტებული მთავრობა მისმა მემკვიდრემ, რომელიც პოლიტიკაში ივანიშვილთან ერთად მოვიდა, პოლიტიკური მოღვაწეობის ორწლიანი პრაქტიკა აქვს და, მიუხედავად ამისა, ქვეყნის პოლიტიკური ლიდერობა ანდეს?! მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკური ისტორიის გათვალისწინებით, არ მაგონდება ქვეყანა, სადაც ახალგაზრდა კაცი ასე უეცრად მოსულიყო პოლიტიკაში, ყოველგვარი რევოლუციების გარეშე. მიუხედავად ამისა, ირაკლი ღარიბაშვილს 8-9 თვე დასჭირდება, დამოუკიდებლად შეხედოს თითოეული მინისტრის ღირსება-ნაკლოვანებებს, ხედვებს, მენეჯერულ უნარებს, შემდეგ კი გარკვეული კორექცია განახორციელოს. ღარიბაშვილი საკმაოდ ნიჭიერი, პრინციპული, განათლებული და თვითმყოფადი ადამიანია, ივანიშვილი არ იკადრებს და არც ღარიბაშვილი დათანხმდება მარიონეტის როლს. აქედან გამომდინარე, იმედი მაქვს, ყველაფერი ცივილურად გადაწყდება და საქართველო იშვიათი ნაკრძალი არ იქნება, სადაც მილიარდერი ჩრდილიდან მართავს პოლიტიკურ პროცესებს. ივანიშვილმა დაგვიდასტურა კიდეც ბოლო წერილში, რომ ამას არ აპირებს, ამიტომ ცვლილებას არ ველოდი და არც განხორციელდა. მიმაჩნია, რომ განსაკუთრებით არ უნდა შეცვლილიყო კვირიკაშვილი-ხადურის ტანდემი, რადგან საერთოდ ვერ გავიგე, რომელ 650 000 000 ლარზეა საუბარი. სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის — „საქსტატის“ მაჩვენებლებში მონაცემები, რომ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გარღვევაა, არ არსებობს. „საქსტატის“ ინფორმაციით, ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 5 273 000 ლარით განისაზღვრა, მობილიზებული იქნა 5 317 000 ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.8%. სად არის აქ 650 000 000-ლარიანი გარღვევა?

— გააჩნია, ეს რომელი თვის მონაცემია, ეს ხომ წლიური მაჩვენებელი არ არის?

— წლიური მაჩვენებელი არ არის, მაგრამ „საქსტატის“ ინფორმაციით, არ ჩანს, რომ ბიუჯეტში გარღვევაა. ესაა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების იმპროვიზაციის შედეგი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ საკმაოდ რთულ პერიოდში მოუწია ნოდარ ხადურს ფინანსთა მინისტრობა.

— ბატონო ვაჟა, მიიჩნევთ, რომ 2013 წლის ბიუჯეტი 650 000 000 ლარით არ გარღვეულა, ეს ხომ გიორგი კვირიკაშვილმაც აღიარა?

— მე და ნოდარ ხადური არ ვაღიარებთ ბიუჯეტის გარღვევას, რადგან შემოსავლები და გასავლები დაბალანსებულია, სოციალური ხარჯები გაწეულია და წლის ბოლომდე კიდევ გაიწევა. რატომ უნდა მოვაწყოთ პროპაგანდისტული შოუ ბიუჯეტის გარღვევასთან დაკავშირებით, როდესაც სხვა ნეგატივიც ბევრია ეკონომიკაში, რომელზეც შეიძლება ვისაუბროთ?! მაგალითად, დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) მაჩვენებლები შემცირდა, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი შენელდა, რაზეც სერიოზული მსჯელობაა საჭირო. ბიუჯეტის გარღვევასთან დაკავშირებით ისტერიკის მოწყობა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ ორი პოლიტიკური ძალაა, რომელიც ერთმანეთს ებრძვის და, ბუნებრივია, მოწინააღმდეგე მხარის დასამარცხებლად, გარკვეულ არგუმენტებს იგონებენ კიდეც. ჩვენ, ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა, რომლებიც ამ პროცესს ვაკვირდებით, მიუკერძოებელი პოზიციიდან უნდა შევხედოთ ვითარებას.

არც ნაციონალური მოძრაობის მომხრე ვარ და „ქართულ ოცნებასაც“ ოპონირებას ვუწევ, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ერთი წლის განმავლობაში, ერთ მთავრობას, რომელიც ცალკეული გამონაკლისების გარდა, პოლიტიკური ბეგრაუნდის არმქონე, გამოუცდელი ხალხითაა დაკომპლექტებული, ჩააბარეს ქვეყნის ეკონომიკის მართვა, რომელიც ბოლო 9 წელი სხვა სივრცეში არსებობდა. ეს იყო ოლიგოპოლიურ-მონოპოლიური ეკონომიკის ქვეყანა, სადაც ინვესტორი რომ შემოვიდოდა, თავის პარტნიორთან კი არა, ხუთეულთან მიდიოდა მოსალაპარაკებლად, რომელიც ამ საკითხს წყვეტდა ადეიშვილი-მერაბიშვილის ხელმძღვანელობით. ჯერ უნდა დანგრეულიყო მახინჯი ეკონომიკა, რომელიც ჩიხისკენ მიდიოდა და ამის შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო ღია ეკონომიკა.

ბუნებრივია, გარდამავალი პერიოდი ურთულესი იყო და ციფრობრივი მაჩვენებლების უკუსვლასაც განაპირობებდა. ის, რაც გიორგი კვირიკაშვილმა და ნოდარ ხადურმა გააკეთეს, შესაძლებლობის მაქსიმუმი იყო, ამას დავუმატით სოციალური პროგრამის განხორციელება, რამაც ხალხს სულის მოთქმის საშუალება მისცა.

— დღგ-ს მაჩვენებლების შემცირება იმას ნიშნავს, რომ წარმოება გაჩერებულია და ეკონომიკა არ მუშაობს, მშპ-ს ზრდის ტემპის შენელება კი ინვესტიციების სიმცირეს გულისხმობს. ყველაფერი ეს რისი ბრალია?

— ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რომ კარგად აწყობილი და შეზეთილი მექანიზმი, რასაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ერქვა და ქვეყანას ავტორიტარული მეთოდებით მართავდა, „ეფექტურად“ იმუშავებდა. როგორ შეიძლება, ჭკუათამყოფელმა ინვესტორმა სერიოზული თანხა ჩადოს ქვეყანაში, სადაც ხალხმა, თითქმის ერთსულოვნად უარი უთხრა გაპიარებულ მმართველს, მიხეილ სააკაშვილს — პრაქტიკულად, რევოლუცია მოხდა და ხელისუფლების სათავეში მოვიდა მილიარდერი, რომელსაც ქვეყნის რეალურ ეკონომიკაში ერთი თეთრიც არ ჰქონდა ჩადებული. მილიარდერი თუ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაში არ დებს ფულს, იმ ქვეყანაში ევროპელი ინვესტორი გამოიწვევს? თან გაითვალისწინეთ, რომ ეს ცნობილი ბიზნესმენი და მილიარდერი აცხადებს, რომ პოლიტიკიდან მიდის...

— ეკონომიკაში რეალურად არსებული პრობლემები არასტაბილური პოლიტიკის შედეგია?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვითარების გამოსწორება და საინვესტიციო შიმშილის შეჩერება ისევ ივანიშვილმა სცადა, როდესაც თანაინვესტირების ფონდი შექმნა. ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტით, 9 თვეში ინვესტიციების მაჩვენებელი 459 000 000 ლარია, მაგრამ ამ ინვესტიციების 96% 2012 წლის მაჩვენებელია. შესაბამისად, ინვესტიციების ნაწილში დიდი უკუსვლა არ გვაქვს, მაგრამ თანაინვესტირების ფონდის საშუალებით, თავგანწირული მცდელობაა, რათა ინვესტიციების მოცულობა გაიზარდოს. მიუხედავად ამისა, ეს მაინც სარისკო და ბუნდოვანი იდეაა, რადგან ჯერ მხოლოდ ის ვიცით, რომ ფონდის დამფუძნებლებმა 6 მილიარდზე გასცეს თანხმობა. ჯერ მხოლოდ ყაზახი ინვესტორი მაშკევიჩია მზად, საქართველოში ინვესტიცია განახორციელოს და თუ თანაინვესტირების ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დავუჯერებთ, მაშკევიჩი ინვესტიციას იწყებს სამედიცინო ბიზნესში — წამლების ხარისხის კვლევის სისტემას დააფინანსებს, რაც ბუნდოვანია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამას ფარმაცევტულ ბიზნესში დიდი ფულის ჩადება მოჰყვება. 90 პროექტი არსებობს თანაინვესტირების ფონდში, მაგრამ ჯერ არც ერთის განხორციელებაზე თანხმობა არ გაცემულა, საზოგადოებამ ისიც კი არ იცის, კონკრეტულად, რა პროექტებზეა საუბარი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ორი — ანაკლიის პორტისა და ხუდონჰესის პროექტი უნდა განხორციელდეს, მაგრამ ანაკლიის პორტის პროექტი ჯერ ისევ საპარტნიორო ფონდის გამგებლობაშია. ქვეყანას ორი გლობალური პრობლემა აქვს გადასაჭრელი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეკონომიკის აღორძინება. ყველას გვაინტერესებს, რა რეალური ნაბიჯები გადაიდგა ეკონომიკაში ერთი წლის განმავლობაში. მიმაჩნია, რომ ერთადერთი სწორი ნაბიჯი, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ მომზადებული ეკონომიკური განვითარების კონცეფცია იყო, რომლითაც პრიორიტეტები გამოკვეთეს — ესაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა. მართალია, ეს საბოლოო დოკუმენტი არ არის, მაგრამ ახლავე ვიწუნებ, რადგან არ მიმაჩნია, რომ ამ პრიორიტეტებზე დაყრდნობით, ქვეყანას მომავალი აქვს. თუ ინოვაციური პროექტები არ განხორციელდება და ახალი ტექნოლოგიები არ დაინერგება, თუ საქართველო მომსახურე ერად იქცა, ეკონომიკა ვერ გაჯანსაღდება.

— ამიტომ გგონიათ, რომ 8-9 თვის შემდეგ, მთავრობაში ცვლილებები განხორციელდება?

— ეს პროცესი გარდაუვალია, რადგან ყველა და მათ შორის, ჩრდილში გადასული ბიძინა ივანიშვილიც დარწმუნდება, რომ ტექნოკრატების მმართველობამ არ გაამართლა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები არ გვიყვარს, რადგან მათ შორის ბევრი კომპრომეტირებულია, მთავრობაში პოლიტიკოსები უნდა მოვიდნენ. უნდა ვისწავლოთ, რომ სულ სხვა ქვეყნისკენ მივდივართ — საპარლამენტო მმართველობა არსებითად ისაა, რაც ჯერ არ გვინახავს და რაზეც წარმოდგენაც კი არ გვაქვს, მხოლოდ ის ვიცით, რომ დიდ ბრიტანეთში ერთმანეთს მწვავედ ეკამათებიან. სხვათა შორის, კარგი დებატები გაიმართა გამოუცდელ ირაკლი ღარიბაშვილსა და გამოცდილ დეპუტატებს შორის — მუდმივი საპარლამენტო დიალოგი ასეთი უნდა იყოს.

ვერსიანიუსი

პატრიარქის რჩევა მრევლს: „დაწექით არაუგვიანეს 23:00 საათისა და ადექით 06:00 საათზე!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მრევლს მოუწოდებს, დროის ფასი იცოდეს. დროის დაფასების მნიშვნელობაზე პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ისაუბრა. უწმინდესმა მრევლს ურჩია, დაწვეს ადრე, არაუგვიანეს 23:00 საათისა და ადგნენ 06:00 საათზე, როცა პირველი დილის ლოცვა უნდა წაიკითხონ.

„ყველა ადამიანს და ერს გააჩნია ისეთი თვისებები, რომელიც არ გააჩნია სხვა ადამიანს ან სხვა ერს. ჩვენი უარყოფითი თვისებაა, რომ არ ვაფასებთ დროს. დრო — ეს უძვირფასესი რამ არის, რაც უფალმა მოგვანიჭა და ჩვენ უნდა ვიცოდეთ დროის ფასი. უნდა ვიცოდეთ, რომ უქმად განვლილი დრო დაკარგულია და შეიძლება, ცოდვაც იყოს. წმიდა მამა ანტონი დიდი და სხვა წმიდა მამები უფალს ევედრებოდნენ, თუ როგორ ვიცხოვროთ, რა გავაკეთოთო, საერთოდ ვაკეთოთ რამე თუ მარტო ვილოცოთო. მათ ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა, ილოცეთ და იშრომეთო და ამიტომ იყო, რომ წმიდა მამები შრომობდნენ, უდაბნოში მოღვაწეობდნენ და ამავე დროს კრეფდნენ ლერწამს, აკეთებდნენ კალათებს და ამით არსებობდნენ, რომ არ ჩათვლოდათ, რომ სხვის ხარჯზე ცხოვრობდნენ“, — ბრძანა ილია მეორემ. მან, ასევე, მრევლს შეახსენა, თუ როგორი განრიგი უნდა იყოს ოჯახებში: **„ჩვენი ცუდი თვისება არის ის, რომ დიდხანს ვწევართ. გვიან დგება ქართველი ადამიანი. ვნახოთ, თუნდაც ევროპაში, სხვა ქვეყნებში სამსახური 6 ან 7 საათზე იწყება. უნდა ადგე ექვსის ნახევარზე ან ხუთ საათზე, რომ სამსახურში მისვლა მოასწრო. ვინც ადრე დგება, მას უფალი მადლს აძლევს. ასევე, ვინც ადრე დგება, უნდა დაწვეს სულ გვიან, 10-11 საათზე“.** პატრიარქმა ოჯახებს ერთად ლოცვისკენ მოუწოდა: **„ძალიან კარგი თვისება და წესია, როცა ოჯახი ერთად ლოცულობს დილის ლოცვებს ან საღამოს ძილის წინ ლოცვებს ერთად კითხულობენ ან ერთი კითხულობს და სხვები უსმენენ. ეს კრავს და აძლიერებს ოჯახს. დიდ მადლსა და სიხარულს ანიჭებს მათ. ერთმანეთი უყვართ და უხარიათ ერთმანეთთან შეხვედრა. ამიტომ ყველას გირჩევთ, რომ დაწვეთ ადრე, არაუგვიანეს 11.00 საათისა და ადგეთ 06:00 საათზე, როცა უნდა წაიკითხოთ დილის ლოცვა“.**

„ინტერპრესნიუსი“

მიხეილ მაჭავარიანი ზურაბ ჟვანიას საქმეზე სკანდალური განცხადების გაკეთებას გეგმავს?!

„9 დეკემბერს 50 წლის გახდებოდა... მისმა იუბილემ გადაიაროს და დეტალურად მოგიყვებით, ვინ იყენებდა სათავისოდ ზურას გარდაცვალებას...“

ერუსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადასვლა მისთვის უჩვეულო პოლიტიკური მდგომარეობა არ არის და არც ის უქმნის უხერხულობას, რომ მისი ძმა საგარეო საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა. როდის დაბრუნდება მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში, ვისი რეკომენდაციით ხელმძღვანელობს პარტიას და არის თუ არა მართალი ზურაბ ჟვანიას წინაშე? — „ვერსიას“ საპარლამენტო უმცირესობის წევრი, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრა.

— თუ „ქართული ოცნების“ მმართველობას ობიექტურად შევაფასებთ, ვნახავთ, რომ ქვეყანაში ეკონომიკის ზრდა შეჩერებულია და საგარეო მიმართულებითაც უამრავი პრობლემა არსებობს. გვესმის, რომ რუსეთთან პრაგმატული პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვანია, მაგრამ მმართველი გუნდისგან ვერ მივიღე კონკრეტული პასუხი კითხვაზე: სად გადის ზღვარი — ქართული პროდუქტის რუსულ ბაზარზე გატანაზე თუ საქართველოს მთავრობა უფრო შორს იხედება და ქვეყნის გაერთიანების პერსპექტივებზე ფიქრობს?! მათგან განსხვავებით, ჩვენ ბევრად რთული გზა გავიარეთ, რადგან ცხრა წლის წინ აბსოლუტურად კორუმპირებული პოლიცია ჩავიბარეთ — „გაიშნიკები“ ბატონობდნენ და „კანარეიკები“ დარბოდნენ, ახალ ხელისუფლებას კი გამართული საპატრულო პოლიცია და ისეთი სისტემა გადავაბარეთ, რომელიც საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობდა.

— თუმცა ნაციონალების მმართველობის დროს, საპატრულო პოლიცია ერთგვარ პოლიტიკურ იარაღად იქცა და თქვენმა თანაგუნდელმა, ვაჟა ჩიტაშვილმა ირაკლი ღარიბაშვილს სისტემის დეპოლიტიზებისთვის მადლობა გადაუხადა.

— ეს მხოლოდ ბატონი ვაჟას მოსაზრებაა, რომელსაც არ ვეთანხმები... რა თქმა უნდა, გარკვეული პრობლემებიც არსებობდა. საზოგადოებას არ მოვატყუებ და ვიტყვი, რომ ზოგიერთებს თავის გამოჩენა ზედმეტად მოუნდათ, თუმცა ამას სისტემის გამართულობაზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია.

— ვინ სცადა საკუთარი ძალების დემონსტრირება და რატომ საუბრობთ ყველაფერ ამაზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოპოზიციურ ფლანგზე აღმოჩნდით?

— დიახ, შეცდომებს ახლა ვაღიარებთ და ამაში ცუდი არაფერია. მთელ მსოფლიოში ასე ხდება — ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ უფრო კარგად აანალიზებ, როდის დაუშვი ფატალური შეცდომა. „ქართულ ოცნებას“ გულწრფელად ვურჩევთ — ჩვენს შეცდომებს ნუ გაიმეორებს. სხვათა შორის, საკუთარ შეცდომებს ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც ვამჩნევდით, ამიტომაც იცვლებოდნენ მინისტრები, ზოგი კი გუნდს საერთოდ ტოვებდა.

— პირადად თქვენ 1995 წლიდან ხელისუფლებაში იყავით. მართალია, 2002 წელს უმრავლესობა ზურაბ ჟვანიასთან ერთად დატოვეთ, მაგრამ მაშინ იცოდით, რომ გუნდი რევოლუციისთვის ემზადებოდა. ახლა არ გიჭირთ ოპოზიციაში ყოფნა?

— ხელისუფლებაში 1995 წელს ზურაბ ჟვანიას გუნდთან ერთად მოვედი და საკმაოდ რთული პერიოდი გავიარეთ, თუმცა მხედრიონისა და არაფორმალური შეიარაღებების თარეშის ფონზე, პროგრესული გადაწყვეტილებების მიღებასაც ვახერხებდით. 2002 წელს ოპოზიციაში მართლაც გადავედი, თუმცა მაშინ არავის ეგონა, რომ „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდა და მოვლენები ამ სცენარით განვითარდებოდა. ასე რომ, ოპოზიციაში ყოფნა ჩემთვის უჩვეულო პოლიტიკური მდგომარეობა სულაც არ არის.

— ნაციონალურ მოძრაობას ხშირად საყვედურობენ, რომ სახელისუფლო სინდრომისგან ვერ გათავისუფლდა...

— პირიქით, მგონია, რომ „ქართული ოცნება“ ოპოზიციის როლიდან ვერ გამოვიდა — მთავრობის სხდომაზე ჩვენი კოლეგები ისევ ოპოზიციურ განცხადებებს აკეთებენ, გეგონება, მათი გასაკეთებელი საქმე სხვამ უნდა აკეთოს. მათ ისიც ავიწყდებათ, რომ კოჰაბიტაცია პოლიტიკური პროცესია და მის დასრულებაზე საუბარი აბსოლუტური სისულელეა. გიორგი მარგველაშვილი, რომელიც კოჰაბიტაციის დასრულებას გვპირდებოდა, საქართველოს პრეზიდენტია და პასუხისმგებლობა იმ ადამიანებზეც ეკისრება, რომლებმაც ხმა არ მისცეს.

— გიორგი მარგველაშვილის მრჩევლად თქვენი ძმა დაინიშნა. ეს უხერხულობას არ გიქმნით?

— ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ, მაგრამ რაღაც ეტაპზე ვანოს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები ჩამოუყალიბდა. ყოველთვის ვცდილობთ, პოლიტიკაზე ნაკლები ვისაუბროთ ან იმ ეტაპზე გავჩერდეთ, რომლის შემდეგ კამათის გაგრძელება არ ღირს. თანაც ვანო იმ სფეროს ხელმძღვანელობს, რაშიც ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა — დასავლეთისკენ სწრაფვა.

— რაც შეეხება თქვენს პარტიას, გენერალური მდივნის მოვალეობას შემსრულებლად ხელმეორედ არჩევანი თქვენს კანდიდატურაზე რატომ შეჩერდა? ისიც საინტერესოა, ვინ შეასრულებს პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას, რადგან მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში ჩართვისგან თავს იკავებს და ქვეყანაში ჩამოსვლაზეც კი დროებით უარს ამბობს.

— როცა ვანო მერაბიშვილი დააკავეს, პოლიტსაბჭომ გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლად კენჭი მე მიყარა, ვანო მერაბიშვილმაც რეკომენდაცია გამიწია და მითხრა, ვიდრე ციხეში ვარ, ჩემი ფუნქცია შეასრულეო.

> **რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ამ ეტაპზე პოლიტიკაში ჩართვა არ სურს, მის მოვალეობას კი პოლიტსაბჭო შეასრულებს, რომელიც პარტიაში გადაწყვეტილებებს ისედაც თავად იღებს. მიხეილ სააკაშვილი მოვლენების განვითარებას დააკვირდება და თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, როდის დაბრუნდეს აქტიურად პოლიტიკაში.**

— ამასობაში, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზურაბ ჟვანიას საქმეში მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობა იკვეთება და ახალი მთავარი პროკურორის პირობებში ყოფილ პრეზიდენტს დააკავებენ კიდეც.

— ზურას საქმის ირგვლივ წლების განმავლობაში ერთი ძირითადი კითხვა ისმის — გარდაიცვალა თუ მოკლეს? პირადად მე ვამტკიცებ, რომ ზურა გარდაიცვალა. ვინც ასე არ ფიქრობს, შესაბამისი მტკიცებულებები წარმოადგინოს. წინაღმდეგ შემთხვევაში, ეს საკითხი პოლიტიკური სპეკულაციების თემა იქნება. წინასაარჩევნოდაც ცხელ თემად აგორდა, თუმცა არჩილ კბილაშვილი თანამდებობიდან ისე გადადგა, ზურას საქმეში არაფერი დაუკონკრეტებია. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ საქმის გამოძიება დროულად უნდა დასრულდეს. ახლა ხელისუფლებაში „ქართული ოცნებაა“ და ამიტომ საქმის დეტალებიც განასაჯაროს. საქმის მასალებს გავეცანი და შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო.

— საზოგადოების ნაწილში დღემდე ისმის კითხვა — რამდენად მართალი ხართ ზურაბ ჟვანიას სულის წინაშე, რომელმაც პოლიტიკაში მოგიყვანათ?

— ზურა 9 დეკემბერს 50 წლის გახდებოდა, ამიტომ ამ თემაზე არაფერს ვიტყვი. მისმა იუბილემ გადაიაროს, ამის შემდეგ კი დეტალურად მოგიყვებით, ვინ არის მართალი მისი სულის წინაშე და ვინ — მტყუანი. იმასაც გაგიმხელთ, ვინ იყენებდა სათავისოდ ზურას გარდაცვალებას. მზად ვარ, 9 დეკემბრის შემდეგ ამ თემებზე ხმამაღლა ვისაუბრო!

ვერსიანიუსი

პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ლატვიელ ხალხს სამძიმარს უცხადებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ლატვიელ ხალხს მიუსამძიმრა.

„დიდი მწუხარება მინდა გამოვთქვა იმ შემზარავი ტრაგედიის გამო, რომელიც თავს დაატყდა ლატვიელ ხალხს რიგაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, რასაც მოჰყვა ათეულობით ადამიანის დაღუპვა და დაშავება.

სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულების ოჯახებს, ვიზიარებ მათი და მთელი ლატვიელი ხალხის მწუხარებას და გამძლეობას ვუსურვებ ამ განსაცდელის ჟამს“, — ნათქვამია პრემიერ ღარიბაშვილის წერილში.

რამდენიმე დღის წინ, რიგაში, სუპერმარკეტის ჩამონგრევის შედეგად, 50-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

„მედიანიუსი“

მიხეილ სააკაშვილს პენსია დაენიშნება

როგორც „პირველს“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა, გიორგი გოგუაძემ განუცხადა, ყოფილი პრეზიდენტისთვის სპეციალური პენსიის დანიშვნა კანონით განსაზღვრული არ არის, ამიტომ მიხეილ სააკაშვილს, როგორც 1995-1999 წლების მოწვევის დეპუტატს, პარლამენტის წევრობის პენსია დაენიშნება. ამასთან, სააკაშვილი სიცოცხლის ბოლომდე ისარგებლებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მომსახურებით და მისი მუდმივი და დროებითი გადაადგილების მარშრუტს სამთავრობო დაცვის სამსახური დაიცავს.

რაც შეეხება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის წევრების სოციალურ გარანტიებს, კანონის თანახმად, ქვეყნის ყოფილი პირველი პირის ოჯახის წევრები სახელმწიფოსგან სამედიცინო დაზღვევასა და სპეციალურ პენსიას მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტის გარდაცვალების შემთხვევაში მიიღებენ.

კანონის თანახმად, სახელმწიფო არ არის ვალდებული, ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, ექსპრეზიდენტი და მისი ოჯახი საცხოვრებლით უზრუნველყოს. აღნიშნული საკითხი მთავრობის წევრთა პოლიტიკური ნებით წყდება. ამასთან, კანონით განსაზღვრული არ არის პარლამენტის ყოფილი წევრის ყოველთვიური პენსიის მაქსიმალური ოდენობა და მისი რაოდენობა ცვალებადია, რადგან ყოველი წლის დასაწყისში, ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებისას „სახელმწიფო სტიპენდიების და კომპენსაციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნორმების თანახმად დგინდება. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 1995-1999 წლებში მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. იგი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსით იყო წარმოდგენილი და ამავდროულად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ხელმძღვანელობდა. აღსანიშნავია, რომ ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ყოველთვიურ სახელმწიფო პენსიას, აგრეთვე, ყოფილი დეპუტატის სტატუსით იღებს. იგი მესამე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე 1992-1995 წლებში იყო.

„პირველი“

ნაციონალებისგან შეშინებულ-დამფრთხალი ინვესტორები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„როდესაც პრეზიდენტი ქვეყნის მთავარი ოპოზიციონერი იქნება, როგორ შეიძლება, ინვესტორი დაარწმუნო, რომ ყველაფერი კარგადაა და ქვეყანაში სტაბილურობაა? ეს აბსოლუტურად გამორიცხულია! არცთუ რთულადაა საქმე ეკონომიკის კუთხით, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ და გთხოვთ, ნუ ცდილობთ, ინვესტორები დააფრთხოთ! არაფერი ხდება რეალურად, არაფერი კატასტროფა არ არის... 30-მდე ქვეყანასთან თქვენ გქონდათ ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება შეჩერებული, ვინაიდან საკუთრების უფლების დარღვევის უამრავი შემთხვევა არსებობდა და ინვესტორებს, უბრალოდ, საქართველოში შემოსვლის ეშინოდათ. ჩვენ, პრაქტიკულად, ყველასთან განვაახლეთ ურთიერთობა და უკვე მიმდინარეობს ხელმოწერის პროცესი. მომდევნო ორი წლის განმავლობაში, მცირე და საშუალო ბიზნესზე თითქმის 150 000 000 დაიხარჯება“, — ასე მიმართა პოლიტიკურ ოპონენტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას.

„დაბი ჯგუფის“, „რაკიინ დეველოპმენტისა“ და ყაზახი ინვესტორების „ვარდოსნული“ პრობლემები

ვინ არიან ნაციონალური მოძრაობის მიერ შეშინებულ-დამფრთხალი და „ქართული ოცნების“ ძალისხმევით დაბრუნებული ინვესტორები? კონკრეტულად, რომელ ინვესტორებს გულისხმობდა პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, როდესაც ოპონენტების კრიტიკულ კითხვებს პასუხობდა? მართალია, ღარიბაშვილს დეტალები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ გასული 9 წლის განმავლობაში, ნაციონალურ მოძრაობასთან პრობლემები არაბულ „დაბი ჯგუფს“, „რაკიინ დეველოპმენტსა“ და ყაზახებს შეექმნათ.

„ვერსიაში“ ამ თემებზე დეტალურად ვწერდით, მაგრამ იმის გამო, რომ პრემიერ-მინისტრმა დამფრთხალი ინვესტორები ახსენა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ვინ, რა მიზეზით და რატომ დაფრთხა ან რატომ შეაჩერა ინვესტიციები საქართველოში.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან ზუსტად ერთ თვეში, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ არაბული „დაბი ჯგუფის“ ერთ-ერთი მენეჯერის, სამი ედუარდსისა და ქართველი მაღალჩინოსნების თაღლითური სქემის დეტალების შესწავლა დაიწყო. გამოძიების დასრულებასა და მტკიცებულებებს „დაბი ჯგუფის“ მმართველი შეიხიც ელოდებოდა, რომელმაც საქართველოში დაწყებული პროექტები 2010 წელს შეაჩერა.

„დაბი ჯგუფი“ საქართველოში საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრმა შემოიყვანა. ცენტრის დირექტორმა, გიორგი სეთურიძემ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ „„ვერსიას“ ის კორუფციული სქემა გაუშიფრა, რომლითაც სამი ედუარდსმა, ვანო მერაბიშვილმა და გიგი უგულავამ პრეზიდენტის განკარგულება თვითნებურად შეცვალეს და თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს დამტკიცებული კონცეფციის ნაცვლად, 40-სართულიანი და 135-მეტრიანი სასტუმროს პროექტი დაამტკიცეს. სხვათა შორის, თვითნებურად გადაკეთებული პროექტი სრულიად განსხვავდებოდა იმისგან, რაც თავის დროზე შეიხმა მოიწონა.

„დაბი ჯგუფი“ საქართველოში 2007 წელს შემოიყვანეს, რომელსაც არაბეთის გაერთიანებული საამიროების შეიხების, ალ ნაჰაიანების გვარი ფლობს. მათ შორისაა შეიხი ნაჰაიან მაბარაქ ალ ნაჰაიანი. „დაბი ჯგუფს“ საქართველოში „კორ სტანდარტ ბანკის“, „ტელეკომ საქართველოსა“ და რუსთაველის გამზირზე, ყოფილი „იმელის“ შენობის ადგილას ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობის პროექტი უნდა განეხორციელებინა. 2008 წლის გაზაფხულზე, ამ სასტუმროს პროექტი არაბულმა „დაბი ჯუგფმა“ რუსული „კაპიტალ ვოსტოკისგან“ 22 000 000 აშშ დოლარად შეიძინა, მოსამზადებელი სამუშაოებიც დაიწყო, მაგრამ აგვისტოს ომის გამო პროექტი შეჩერდა:

„აგვისტოს ომის შემდეგ „დაბი ჯგუფი“ სერიოზულად ფიქრობდა, გაეგრძელებინა თუ არა ინვესტიციები საქართველოში, მაგრამ ჯგუფის პატრონებს პროექტების შეჩერება გადავაფიქრებინეთ. ჩვენი თხოვნის შემდეგ, „დაბი ჯგუფმა“ საქართველოს ეკონომიკაში კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი აშშ დოლარი ჩადო. ძირითადი აქცენტი „კორ სტანდარტ ბანკსა“ და სატელეკომუნიკაციო პროექტზე გადავიტანეთ. „ტელეკომ საქართველოს“ ლიცენზიისთვის ჯგუფმა ჯერ 12 000 000 აშშ დოლარი გადაიხადა, შემდეგ წინამოსამზადებელ სამუშაოებში, დამატებით 10 000 000 აშშ დოლარიც დახარჯა, მაგრამ საბოლოოდ, ეს პროექტი შიდაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე დახურეს. საქართველოს ინტერნეტბაზარზე ხელისუფლება ისე ძლიერად ლობირებდა კონკურენტ კომპანიებს, რომ არაბმა შეიხებმა ასეთ პირობებში მუშაობა გადაიფიქრეს. პრაქტიკულად, „დაბი ჯგუფმა“ ამ პროექტში 22 000 000 აშშ დოლარი დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ, დღეს არსებობს ლიცენზია, რომელიც აღარაფერს წარმოადგენს. რაც შეეხება სასტუმროს მშენებლობას, პროექტზე მუშაობა 2009 წლის ზაფხულში განვაახლეთ. შევიმუშავეთ დაფინანსების გეგმა, მოლაპარაკებები გავმართეთ რამდენიმე ევროპულ ბანკთან, რომლებიც მზად იყვნენ, დაეფინანსებინათ ეს პროექტი. საბოლოოდ, დამფუძნებლებისთვის ფინანსური გეგმაც შევიმუშავეთ და როდესაც ყველაფერი დამტკიცდა, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სწორედ იმ დროს გააძლიერეს ბიზნესში ჩარევა. ამას ისიც დაერთო, რომ „დაბი ჯგუფის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი სამი ედუარდსი გამოჩნდა. მას საკმაოდ უარყოფითი იმიჯი აქვს აბუ-დაბიში — ცნობილი „ატკატჩიკია“, თუმცა რატომღაც მას დაავალეს ამ პროექტში ფულის ჩადება, მაგრამ ანგარიშზე თანხა არ აღმოაჩნდა, რადგან ფულის ნაცვლად, მიწის ნაკვეთი ჰქონდა ჩადებული, რომელიც დუბაიში შეიძინა. როგორც ჩანს, ვარაუდობდა, რომ ამ მიწის ნაკვეთს გაყიდდა და ფულს იშოვიდა. სამი ედუარდსმა მიწის ნაკვეთი ვერ გაყიდა და თავისი თაღლითობის დაფარვას შეეცადა. თავდაპირველად, საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასა და საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა გააფუჭა, შემდეგ აბუ-დაბიში ჩავიდა და შეიხს უთხრა, რომ საქართველოში „დაბი ჯგუფის“ წარმომადგენლებს ქვეყნის ხელისუფლებასთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ. შეიხი ახლა ინფორმაციულ ვაკუუმშია, მაგრამ როდესაც გამოძიების შედეგად, ქართველი სამართალდამცველები კონკრეტული ფაქტებით დაამტკიცებენ, რომ სამი ედუარდსი, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა თაღლითები არიან, შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს. სამი ედუარდსთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს ვანო მერაბიშვილს, რომელსაც ხშირად სტუმრობდა და მეტიც — სამი ედუარდსს ვანო მერაბიშვილის მანქანა ემსახურებოდა. მოგვიანებით, ამ თაღლითს თბილისის მერი, გიგი უგულავაც დაუკავშირდა“, — გვიამბობდა გიორგი სეთურიძე.

გიორგი სეთურიძემ „ვერსიას“ თავის დროზე ისიც განუცხადა, რომ „ტრამპთაუერის“ პროექტი, რომლის მაკეტიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ექსმინისტრმა, ვერა ქობალიამ საქართველოს პარლამენტში წარადგინა, სამი ედუარდსის შედგენილი იყო. სინამდვილეში, დონალდ ტრამპი სულაც არ აპირებდა საქართველოში „ტრამპთაუერის“ აშენებას და ესეც სამი ედუარდსის მორიგი აფერა გახლდათ.

კიდევ ერთი ინვესტორი, რომელსაც წინა ხელისუფლების პირობებში პრობლემა შეექმნა, ასევე არაბული საინვესტიციო კომპანია „რაკიინ დეველოპმენტი“ იყო. „რაკიინ დეველოპმენტი“ საქართველოში სავაჭრო ცენტრის — „თბილისი მოლის“, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასისა“ და „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ აქტივებს ფლობს. საინვესტიციო კომპანია კი რას ალ ხაიმას ემირმა დააფუძნა. რამდენიმე წლის წინ, „რაკიინ დეველოპმენტმა“ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ რემონტი დაიწყო, მაგრამ მოულოდნელად, სამუშაოები შეაჩერა. ექსპერტების მოსაზრებით, არაბულმა საინვესტიციო კომპანიამ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური მოტივით მიიღო. ახალი ხელისუფლების პირობებში, არცთუ დიდი ხნის წინ, „რაკიინ დეველოპმენტის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ რემონტი ჩაატარონ, რისთვისაც 25 000 000 აშშ დოლარი უკვე გამოყვეს.

წინა ხელისუფლების დროს პრობლემები ყაზახ ინვესტორებსაც შეექმნათ და „დამფრთხალ“ ინვესტორებში ირაკლი ღარიბაშვილი, სავარაუდოდ, მათაც გულისხმობდა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, „ყაზტრანსგაზთბილისის“ ყაზახმა მფლობელებმა საქართველოს ხელისუფლებას სამთავრობო კომისიის შექმნა მოსთხოვეს. კომისიას უნდა გაერკვია, რა ხდებოდა ამ კომპანიაში 2009 წლიდან, ან რატომ გაიზარდა „ყაზტრანსგაზთბილისის“ დავალიანება, რომელიც ამ კომპანიას „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიმართ დაუგროვდა.

„ყაზტრანსგაზთბილისის“ გენერალური დირექტორი სანჟარ შოკატაევი აცხადებდა, რომ კომპანიის 40 000 000-ლარიანმა დავალიანებამ 43 000 000 ლარს გადააჭარბა და ეს იყო მიზეზი, რის გამოც ყაზახი მფლობელები ქართულ-ყაზახური სამთავრობო კომისიის შექმნას ითხოვდნენ. პრობლემების მიუხედავად, ქვეყანაში ყაზახური ინვესტიციები არ შეჩერებულა. სამთავრობო კომისია მართლაც შეიქმნა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით, მთავრობამ ქართულ-ყაზახური პრობლემა აღმოფხვრა. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილი ორივე არაბული ჯგუფის დამფუძნებლებს — შეიხსა და ემირს შეხვდა, რომლებსაც პრობლემების მოგვარებას დაპირდა.

რაც შეეხება ყაზახ ინვესტორებსა და სამთავრობო კომისიის მუშაობის შედეგებს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, **კახა კალაძემ** განაცხადა:

„გადაწყვეტილება უკვე მიღებული გვაქვს, რათა „ყაზტრანსგაზთბილისი“ ყაზახებს დავუბრუნოთ. სამთავრობო კომისიაში, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით ყაზახეთში იმყოფებოდა, მეც გახლდით. შესაბამისად, ყაზახეთშიც დავაფიქსირეთ ჩვენი თანხმობა, რომ მზად ვართ, ყაზახი ინვესტორები კომპანიაში დაბრუნდნენ. ერთადერთი პრობლემა ვალის დაბრუნების თემა იყო, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ ეს საკითხი უკვე დაარეგულირა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ყაზახები საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებას ელოდებიან და როგორც კი არჩევნები დასრულდება, მათი დელეგაციაც ჩამოვა. საქართველოს ხელისუფლებასთან ყაზახებს არანაირი პრობლემა არ აქვთ, პირიქით, მზად ვართ, დავეხმაროთ“.

ვერსიანიუსი

ვილნიუსის სამიტის მონაწილეებს ქართული ღვინით გაუმასპინძლდებიან

ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ლანჩის მონაწილეებს ქართული ღვინით გაუმასპინძლდებიან. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ ღონისძიებას, რომელიც ვილნიუსის LITEXPO-ს საგამოფენო დარბაზში გაიმართება, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლეს წარმომადგენლებთან ერთად, აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნების ხელისუფლებათა უმაღლესი და მაღალი რანგის პირები დაესწრებიან.

აღნიშნული ღონისძიებისთვის 100 ბოთლზე მეტი ღვინო, აგრეთვე ჭაჭა და სხვა ქართული ბრენდი უკვე გაიგზავნა ვილნიუსში. დამზადდა ასევე სპეციალური ეტიკეტიც, წარწერით — GEORGIA WELCOMES THE LITHUANIAN EU PRESIDENCY 2013 („საქართველო მიესალმება ევროკავშირის ლიტვის თავმჯდომარეობას 2013“), რომელიც ქართულ ნაწარმზე იქნება დაკრული.

LITEXPO-ში ასევე მოეწყობა ქართული კუთხე, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ ინფორმაცია საქართველოსა და ქართული ღვინის შესახებ; ქართულ კუთხეში განთავსდება ბროშურები საქართველოს შესახებ და სუვენირები საქართველოდან. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტამდე, 27 ნოემბერს, ვილნიუსში გაიმართება საპარლამენტო ფორუმი. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გამართულ ოფიციალურ ვახშამზე ასევე წარმოდგენილი იქნება ქართული ალკოჰოლური სასმელი.

„ინტერპრესნიუსი“

„მაკდონალდსში“ უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა დაინერგა

„საქართველოს ბანკის“ ახალი თაობის ტერმინალები და VISA-ს მარტივი პროდუქტი სერვისს უფრო სწრაფს, უსაფრთხოსა და კომფორტულ ხდის

ამიერიდან, „მაკდონალდსის“ რესტორნებში „საქართველოს ბანკის“ ახალი თაობის ტერმინალი თუ მოგჭრით თვალს, არ გაგიკვირდეთ. სწორედ ამ ტერმინალებისა და VISA-ს მარტივი, თანამედროვე პროდუქტის დანერგვით, ასევე „მაკდონალდსის“ მიერ განეული სამუშაოთი, მომსახურება გაცილებით მარტივი, სწრაფი და კომფორტული გახადა — ამიერიდან, „მაკდონალდსში“ შეძენილი პროდუქციის საფასურის გადახდას უნაღდო ანგარიშსწორებით, მოლარის დახმარების გარეშე, მაქსიმუმ 8 წამში შეძლებთ.

ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ, „მაკდონალდსის“, VISA-სა და „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს, წერეთლის გამზირზე მდებარე „მაკდონაკლსში“ საგანგებო პრესკონფერენციაზე გვაუწყეს და თვალსაჩინოებისთვის, უკონტაქტო გადახდის პროცესიც გვიჩვენეს.

თანამედროვე მომხმარებლის მოთხოვნილებაა, ისარგებლოს გადახდის სწრაფი, მარტივი და მოხერხებული შესაძლებლობებით. ეს განსაკუთრებით აქტუალურია სავაჭრო ობიექტებში, სადაც ხარისხთან ერთად, მომსახურების სისწრაფე უმნიშვნელოვანესია. „მაკდონალდსში“ უნაღდო ანგარიშსწორებას, ყველა ტიპის საბანკო ბარათთან ერთად, თანამედროვე VISApayWave უკონტაქტო ბარათითაც შეძლებთ. გადახდა ასევე შესაძლებელი იქნება საქართველოში ინოვაციური მეთოდით — ტერმინალთან NFC სმარტფონის ახლოს მიტანით.

„მაკდონალდსის“ გენერალური დირექტორის, **თენგიზ კაპანაძის** განმარტებით, რესტორნების ქსელში უნაღდო ანგარიშსწორების სისტემის დანერგვისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მომსახურების სისწრაფის გაუმჯობესებას და ამავდროულად, მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვას: **„ბევრ კომპანიას აქვს საბარათე ოპერაცია, მაგრამ ის პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ჩვენ გავაკეთეთ, უნიკალური და ერთადერთი ინტეგრირებული პროცესია საქართველოში. „მაკდონალდსისთვის“ მუდმივად აქვს უმაღლესი სტანდარტი — თუ სხვა ობიექტებში, უნაღდო ანგარიშსწორებისას, 2-და 3 ჩეკთან გვაქვს შეხება, აქ მხოლოდ ერთ ჩეკს ვიღებთ. სისტემა საშუალებას იძლევა, დაზოგოთ დრო — მომსახურება 3-8 წამზეა გათვლილი. პარალელურად, რა თქმა უნდა, ვიზრუნეთ იმაზეც, რომ მომხმარებლისთვის უნაღდო ანგარიშსწორება მაქსიმალურად კომფორტული ყოფილიყო — 45 ლარის ფარგლებში, შესაძლებელია, ყოველგვარი პინკოდისა და ხელმოწერის გარეშე მიიღოთ მომსახურება. ერთ წელიწადზე მეტია ამ პროექტს ვამუშავებთ. მოხარულები და მადლობლები ვართ, რომ „საქართველოს ბანკი“ გვერდზე დაგვიდგა. მადლობა ასევე „ვიზას“, რომელმაც ასე ხარისხიანად და დეტალურად ჩამოგვაყალიბებინა სერვისის ინტეგრირებული პროცესი“.**

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური აცხადებს, რომ ბანკი „მაკდონალსის“ გვერდით მომავალში, ახალი რესტორნების გახსნის პროცესშიც იდგება. **ირაკლი გილაურმა** პრესკონფერენციაზე, „საქართველოს ბანკის“ რამდენიმეთვიანი აქციის შესახებაც ისაუბრა, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებს „ექსპრესბარათის“ მფლობელებს: **„საქართველოს ბანკი“ მოხარულია, რომ „მაკდონალდსის“ განვითარებას უჭერს მხარს. „საქართველოს ბანკი“ საქართველოში ლიდერია — ჩვენი საბაზრო წილი დაახლოებით 55%-ია. კიდევ უფრო უნდა განვვითარდეთ და უკონტაქტო გადახდების ახალ-ახალ ტექნოლოგიებზე გადავიდეთ. „საქართველოს ბანკის“ უკონტაქტო სისტემა, საშუალებას მისცემს ჩვენი და სხვა ბანკების მომხმარებლებს, სწრაფად მიიღონ სერვისი. მინდა განვაცხადო კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ: 1 დეკემბრიდან „საქართველოს ბანკი“ იწყებს აქციას — მომხმარებელი, რომელიც Express Card-ით, „საქართველოს ბანკის“ ტერმინალში 5 ლარზე მეტს გადაიხდის 10-ჯერ, 5 ლარს საჩუქრად მიიღებს. Express Card უკვე 1 წელზე მეტია გამოვუშვით. ამ ბარათს 400 ათასზე მეტი ადამიანი უკვე ფლობს. დარწმუნებული ვარ, მათი რიცხვი, კიდევ უფრო გაიზრდება“.**

VISA-ს რეგიონულმა მენეჯერმა კავკასიის საკითხებში **ირინა ქამხაძემ** მადლობა გადაუხადა „საქართველოს ბანკისა“ და „მაკდონალდსის“ წარმომადგენლებს საინტერესო პროექტის განხორციელებისთვის და ახალი სისტემის ყველა უპირატესობაზე ისაუბრა: **„50 წელზე მეტია VISA მთელ მსოფლიოში თანამშრომლობს ბანკებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან და VISA ბარათის მფლობელებს სთავაზობს უსაფრთხო, სანდო და მოსახერხებელ საგადასახადო სისტემას. საქართველოში VISA 15 წლის წინ შემოვიდა. მას შემდეგ ძალიან აქტიურად მონაწილეობს ელექტრონული გადახდების სისტემის განვითარებაში და მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. VISA-ს მფლობელი იღებს იმ უპირატესობას, რაზეც უკვე მოგახსენეთ — სისწრაფე, სანდო და მოხერხებული ტრანზაქცია. ასევე „მაკდონალდსის“ ქსელში არის დანერგილი VISA-ს სწრაფი გადახდების სისტემა „ვებსი“, რომელიც 45 ლარის ფარგლებში ითვალისწინებს ტრანზაქციას, პინკოდისა და ხელმოწერის გარეშე“.**

„მაკდონალდსის“ პრეზიდენტის, თემურ ჭყონიას თქმით, კომპანია უახლოეს მომავალში რესტორნების ქსელის გაფართოებას გეგმავს და ამ პროცესში „საქართველოს ბანკიც“ მიიღებს მონაწილეობას, რომელთანაც „მაკდონალდსი“ წლებია თანამშრომლობს.

თემურ ჭყონია: „ვაპირებთ ქსელის განვითარებას. რამდენიმე ორგანიზაციასთან ინტენსიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. გეგმა გვაქვს — გაისად თბილისში კიდევ 2 რესტორანი გავხსნათ. ჯამში, საქართველოში, 15 რესტორანი გვექნება, კომპანიის ბრუნვა საშუალოდ 100 მილიონ ლარამდე ავა, დაახლოებით 1500 პიროვნება გვეყოლება დასაქმებული. ამ ხნის განმავლობაში, ტრენინგებს გაივლის უამრავი კადრი, ძირითადად ახალგაზრდები; ბიუჯეტში შეტანილი გვაქვს 60 მილიონი, 33 მილიონი დოლარის ინვესტიცია განვახორციელეთ. ეს ნამდვილად სატრაბახო მაჩვენებლებია“.

უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა უკვე ჩაშვებულია თბილისში არსებულ „მაკდონალდსის“ რესტორნებში. 2013 წლის ბოლომდე კი, „საქართველოს ბანკის“ ტერმინალები, საქართველოს მასშტაბით, „მაკდონალდსის“ ყველა რესტორანში დაგხვდებათ.

ნინო ლურსმანაშვილი



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

დაბა კაზრეთის ცენტრში, კომპანიების — RMG gold-ისა და RMG Cooper-ის 700-მდე თანამშრომელმა საპროტესტო აქცია გამართა — სამუშაო პირობების გაუმჯობესება და ხელფასის 100%-ით გაზრდა მოითხოვეს. მათი განცხადებით, კომპანიების ხელმძღვანელობა შრომის ანაზღაურების ეტაპობრივ გაზრდას დაპირდა, 6 დღის წინ კი უთხრეს, რომ ხელფასს ვერ გაუზრდიან და თუ ვინმეს ეს პირობები არ აკმაყოფილებს, შეუძლია, სამუშაო დატოვოს.

„ხელისუფალნი, რუსულ კომპანიასთან ერთად, ჩვენი სიცოცხლის ხარჯზე, დიდ ფულს აკეთებენ!“

კაზრეთში მუშათა გაფიცვამ იფეთქა — რას ითხოვს RMG gold-ისა და RMG Cooper-ის 700-მდე თანამშრომელი

გაფიცულთა ინფორმაციით, კომპანიების საბადოებზე მადნის მოპოვება შეჩერებულია და მუშაობა მხოლოდ აქამდე მოპოვებული მადნის მარაგით მიმდინარეობს. თუ ხელმძღვანელობა მოთხოვნებს არ შეასრულებს, სამუშაო ადგილს არ დაუბრუნდებიან, აქამდე მოპოვებული მადნის მარაგი ამოიწურება და ფაბრიკა გაჩერდება. კომპანია RMG გაფიცულ თანამშრომლებს „კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში გადასვლისკენ“ მოუწოდებს. როგორც კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, კომპანია RMG Copper-ის საბურღი დაზგის ოპერატორების ნაწილი არ გამოცხადდა სამუშაო ადგილებზე და კომპანიის ადმინისტრაციას წაუყენა ოთხი მოთხოვნა: ხელფასის 100%-ით გაზრდა, ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის მომსახურების გაფართოება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და უკანონო გაფიცვაში მონაწილე თანამშრომლების სამსახურში დაბრუნება. თანამშრომელთა ამგვარმა ქმედებამ მნიშვნელოვანი საწარმოო უბნის პარალიზება გამოიწვია. მენეჯმენტის განცხადებითვე, კომპანიის ადმინისტრაციის შეთავაზების მიუხედავად — მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტათ წარმოქმნილი პრობლემა — გაფიცულთა ჯგუფმა, დესტრუქციული გზით დაიყოლია ექსკავატორის ოპერატორები, რათა ისინიც არ გამოცხადებულიყვნენ სამუშაო უბანზე.

„უნდა აღინიშნოს, რომ ბურღვის ოპერატორების ხელფასი შეადგენს 937 ლარს, ხოლო ექსკავატორების ოპერატორებისა 1063-ს. კომპანიაში არასოდეს ყოფილა ხელფასის დაგვიანების ან შემცირების არც ერთი შემთხვევა. თვეში მუშაობენ 16 დღე და სარგებლობენ 40-დღიანი ანაზღაურებული შვებულებით და ყველას აქვს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი. რადგან საწარმოს ერთ-ერთ უბანზე სამუშაო შეწყდა კანონით გათვალისწინებული პროცედურების უხეში დარღვევით და იმ პერსონალის ინტერესთა სრული იგნორირებით, რომელიც არ იზიარებს ე.წ. გაფიცულების შეხედულებას, კომპანიამ მიმართა სასამართლოს სათანადო სარჩელით... ხელმძღვანელობამ, პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად, განიხილა წამოყენებული მოთხოვნები და მიიჩნია, რომ კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში შესაძლებელია მათი ნაწილის დაკმაყოფილება.

დასასრული მე-8 გვერდზე

ბავშვებში სიმსივნის შემთხვევები გაათმაგდა — არ აჭამოთ პატარებს გენმოდიფიცირებული პროდუქტი!

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

მეცნიერების ნაწილი ამტკიცებს, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი ბავშვებში ალერგიულ დაავადებებს იწვევს, თუმცა ამ უსიამოვნო დასკვნის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა „გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ“ კანონის მიღებას აჭიანურებს. ამასობაში კი, ალერგიას ვინღა დაეძებს, ბავშვებში ონკოლოგიურ დაავადებათა რიცხვი ათმაგდება. ბავშვთა ახალი კლინიკისა და, ასევე, სასწრაფო სამედიცინო დახმარება „პედიატრის“ დირექტორი დავით რეხვიაშვილი აცხადებს, რომ კიბოს გაახალგაზრდავების მიზეზი შესაძლოა, სწორედ გენმოდიფიცირებული პროდუქტი იყოს. როგორ დავიცვათ პატარები „პოტენციურად საშიში“ პროდუქტისგან, როცა საქართველოს ბაზარი ამ მხრივ არ კონტროლდება და რა პათოლოგიური ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს გმო-მ მოზარდებში? — „ვერსია“ პედიატრ დავით რეხვიაშვილს ესაუბრა.

რა პათოლოგიური ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს გმო-მ მოზარდებში და როგორ დავიცვათ ისინი კიბოსგან

— ბატონო დავით, მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ გენმოდიფიცირებული საკვების მიღება ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის, ნაწილის აზრით კი, გმო მავნეა. თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ გმ პროდუქტის მიმართ?

— ჩემი დამოკიდებულება ლოგიკაზეა დამყარებული: გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მიღებიდან ძალიან ცოტა დროა გასული, რათა ვინმემ დაამტკიცოს, რომ საშიში არაა. ჩემთვის სწორედ ამის დამტკიცებაა მთავარი და არა საკითხის ამგვარად დასმა — საშიშია თუ არა გმო ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ერთი ზუსტად ვიცი — გმო ბუნებრივად კი არა, ხელოვნურადაა მიღებული და შესაბამისად, შეიძლება, გვერდითი მოვლენები ჰქონდეს, თუმცა გვერდითი მოვლენების შესწავლას დიდი დრო და გამოცდილება სჭირდება. წლების განმავლობაში შეიძლება, დაგროვდეს მონაცემები, რომელთა ანალიზი მოგვცემს საშუალებას ვთქვათ, ეს პროდუქტი საშიშია თუ არა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ბავშვებს ეხება.

— მართალია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიღება ბავშვებში ალერგიულ დაავადებებს იწვევს?

— ალერგიული დაავადებები მართლაც გახშირებულია, მაგრამ საქმეც ეგაა, რომ იმდენად მოკლე პერიოდია გასული პირველი გმო-ს წარმოებიდან და იმდენად ნალებია მისი კვლევის ინტერესი, რომ მტკიცება — გმ პროდუქტი ალერგიას იწვევს, შეუძლებელია, თუმცა ლოგიკას გავყვეთ — ბავშვის ორგანიზმში ხვდება უცხო ნივთიერება, რომელსაც უარყოფს ორგანიზმი. გენი მუტაციას ყოველთვის განიცდის, მუდმივად გარდაიქმნება, როცა ეს ბუნებრივად ხდება, იფილტრება, მაგრამ როდესაც ხელოვნურად ვაშენებთ ორგანიზმში და აქტივატორებს ვაყოლებთ, რომლებიც ააქტიურებენ გენებს, არავინ იცის, რა შედეგს მივიღებთ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ — გარკვეული გენების ჩაშენების შედეგად, გამოიყვანეს გენმოდიფიცირებული წყალმცენარე აკვარიუმისთვის, რომელიც ნებისმიერ გარემო პირობებს ეგუებოდა და მარადმწვანე იყო. ეს წყალმცენარე ოკეანეში მოხვდა და რადგან წყლის ბინადარნი არ ჭამენ, ისე გამრავლდა, ოკეანის ფლორა გაანადგურა, საფრთხე სხვადასხვა სახეობის თევზსაც შეუქმნა და ზოგადად, სერიოზული ეკოლოგიური პრობლემა წარმოშვა. მეცნიერები ახლა იმაზე მსჯელობენ, როგორ მოაგვარონ ეს პრობლემა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ძალიან ძნელია, წინასწარ გათვალო ყველა ვარიანტი. ფაქტია, გენმოდიფიცირებული ორგანიზმი გარკვეული ნაღმია, რომელიც როდის ამოქმედდება და რა შედეგს გამოიღებს, არავინ იცის. ცეცხლთან თამაშს ჰგავს ეს ყველაფერი.

— თუმცა მეცნიერების ნაწილი ამტკიცებს, რომ გმო უვნებელია და ალერგია ისედაც 21-ე საუკუნის სენია — ბავშვს ალერგიის ნიშნები შეიძლება ნებისმიერი ახალი პროდუქტის მიღებისას გამოუვლინდეს.

— დიახ, ახლა ალერგიის საუკუნეა იმიტომ, რომ ორგანიზმისთვის არაბუნებრივი ნივთიერებები და პროდუქტი გაჩნდა. ორგანიზმი სამყაროსთან ერთად ვითარდება და ხელოვნურად მიღებული ნივთიერებების მოხვედრისას, თავდაცვას ცდილობს, რაც ალერგიის ფორმით ვლინდება. ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ გმ პროდუქტი საშიში არაა, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, რომელთა ორგანიზმის ჩამოყალიბების პროცესში გმო-ს ჩართვა არავინ იცის, რა ცვლილებებს გამოიწვევს, ცვლილებები კი აუცილებლად იქნება — გენი მდებარეობს იქ, სადაც არ უნდა იყოს.

— გენმოდიფიცირებული პროდუქტის მისაღებად გარკვეული ორგანიზმის ერთ კონკრეტულ გენს იყენებენ, მაგალითად ისეთს, რომელიც მხოლოდ ცილის კოდირებას ახდენს. ამ მეთოდით, ორგანიზმის ყველა ნიშან-თვისება არ გადმოდის და ცვლილებები გარდაუვალი რატომაა?

— იმიტომ, რომ მხოლოდ გენი არ განსაზღვრავს საბოლოო შედეგს. მნიშვნელოვანია, ეს გენი როგორ „მოიქცევა“ ახალ გარემოში.... კაცობრიობაზე, პრაქტიკულად, ერთი დიდი ექსპერიმენტი ტარდება, რომლის შედეგებსაც წლების შემდეგ გავარკვევთ!

— ბავშვებში, ალერგიის გარდა, კიდევ რა დაავადებებია გახშირებული?

— ვწუხვარ, რომ ძალიან მოიმატა ბავშვებში ონკოლოგიური დაავადებების რიცხვმა. იმის აღქმას, რომ ონკოლოგიური პრობლემები გაათმაგებულია, განსაკუთრებული სამედიცინო განათლება არც სჭირდება — სიმსივნე გაახალგაზრდავდა და ბავშვებში ძალიან გახშირდა.

— რისი სიმსივნე სჭარბობს?

— ბავშვებში გახშირებულია სისხლის, დიდებში — კუჭის, პანკრიასის, საჭმლის მომნელებელი სისტემის...

— და ეს გმ პროდუქტთან პირდაპირ კავშირშია?

— თეორიულად, დიდი შანსია, ასე იყოს — პროდუქტში ჩაშენებულ გენს აქტივაცია სჭირდება, რასაც სპეციალური მიკროორგანიზმები ახდენენ. ამ მიკროორგანიზმს სხვა გენის აქტივაციაც შეუძლია და თუ გენი სხვა ტიპის გენს გააააქტიურებს, რომელიც სიმსივნური უჯრედის გამრავლებას გამოიწვევს, მივიღებთ სიმსივნეს. ასე რომ, თეორიულად, დიდი შანსია, სიმსივნის რაოდენობის ზრდა გენმოდიფიცირებული საკვების მიღებას უკავშირდებოდეს.

— დაავადება რა სიმპტომებით იწყება?

— მთელი უბედურებაც ეგაა, რომ პროცესი ფარულია და შეიძლება თავი 10, 15 წლის შემდეგაც გამოავლინოს.

— ამ ფონზე, როგორ შევურჩიოთ ბავშვს რაციონი ანუ მარტივად რომ ვთქვათ, რა ვაჭამოთ?

— ეს ძალიან რთული საკითხია. შემიძლია, ცალსახად ვთქვა, რომ ბავშვებს გენმოდიფიცირებული საკვები არ უნდა მივცეთ. ჩვილ და ზოგადად, ბავშვთა კვება ის სფეროა, რომელშიც გმ პროდუქტის გამოყენება მსოფლიოში კანონმდებლობით მაქსიმალურად შეზღუდულია. რაც შეეხება სხვა პროდუქტს, სიამოვნებით ვაჭმევდი ჩემს შვილებს არაგენმოდიფიცირებულს — ძვირიც რომ იყოს, მათთვის ვიყიდდი, რადგან ზრდის პროცესში ეს აუცილებელია, მაგრამ სამწუხაროა, რომ არ ვიცით, პროდუქტი როგორია. სახელმწიფო დონეზე უნდა დარეგულირდეს, რომ არ დაირღვეს მოქალაქის უფლება — იცოდეს, რას ჭამს და არჩევანი თავად გააკეთოს. გმ პროდუქტი პოტენციურად საშიშია და არ მინდა, ჩემმა შვილებმა, ჩემმა პაციენტებმა მიიღონ. ვიდრე ყველაფერს კანონმდებლობა არ დაარეგულირებს და საქართველოში შესაბამისი ლაბორატორია არ იმუშავებს, ვერაფერს გირჩევთ. ისე, პროდუქტს თუ დაეწერება გენმოდიფიცირებულია თუ არა, დარწმუნებული ვარ, შვილებს გმ პროდუქტს ის მეცნიერებიც არ უყიდიან, რომლებიც დღეს ამტკიცებენ, რომ გმო უვნებელია.

— ვიდრე პარლამენტი შესაბამის კანონს მიიღებს, თუ გაქვთ შემუშავებული მეთოდი, რომლითაც სახლისთვის პროდუქტს არჩევთ?

— არა... ერთადერთი მეთოდი კვლევაა, რომელიც არ ხდება, რასაც ძალიან განვიცდი. რაჭველი ვარ და ვცდილობდი, რაჭული კარტოფილი მეყიდა ხოლმე, მაგრამ იქაც ამერიკული კარტოფილის მოყვანა დაიწყეს — კარგად მრავლდება, ბევრი მოდის, მახრა და მავნებელი არ ეკარებაო. ყველამ გადააჯიშა ძველი, ტრადიციული რაჭული კარტოფილი. სისუფთავეში, უსასუქოდ კი მოჰყავთ, მაგრამ რად გინდა — გენმოდიფიცირებულია. ამაზე რომ ვფიქრობ, თავი საცდელი თაგვი მგონია.

ონკოლოგიურ საავადმყოფოებში პაციენტების ტევა აღარაა და არავინ იკვლევს, ამის მიზეზი გმ პროდუქტია თუ არა. შეიძლება, გარკვეული მიზეზის გამო, არც აწყობთ კვლევა... ასე რომ, ვიდრე პრობლემა საკანონმდებლო დონეზე არ გადაწყდება, გაურკვევლობაში ვიქნებით.

საზოგადოება

„ხელისუფალნი, რუსულ კომპანიასთან ერთად, ჩვენი სიცოცხლის ხარჯზე, დიდ ფულს აკეთებენ!“

მე-7 გვერდიდან

კერძოდ, ჯანმრთელობის დაზღვევისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება და გაფიცვაში მონაწილე თანამშრომლების სამსახურში დაბრუნება. რაც შეეხება ხელფასის 100%-ით გაზრდის საკითხს, მიგვაჩნია არაადეკვატურ მოთხოვნად“, — აცხადებენ კომპანიაში.

ხელმძღვანელობა ეჭვობს რომ პროცესები გარედან იმართება და ემსახურება არა იქ მომუშავეთა პირობების გაუმჯობესებას, არამედ სხვა მიზნებს:

„ზემოხსენებულ უკანონო ქმედებათა შედეგად, საწარმო განიცდის ზარალს და მოლაპარაკების რესურსის ამოწურვის შემთხვევაში, კომპანია იძულებული გახდება, გაჩერებულ უბნებზე მომუშავე პერსონალი ჩაანაცვლოს. კომპანია მოუწოდებს თანამშრომლებს, პროცესი გადავიდეს საკანონმდებლო ჩარჩოში, კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში, რათა არ დაზარალდეს საწარმო და დაცული იქნას კომპანიაში მომუშავე თითოეული ადამიანის ინტერესი“.

„გრინფისის მხრადამჭერთა ჯგუფის“ თავმჯდომარე, ეკოლოგი და უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ ამ საწარმოებში დასაქმებულებთან დაკავშირებით არსებობს როგორც ზოგადი, ასევე ლოკალური პრობლემები:

„საქართველოში შრომის კი არა, მონობის კოდექსი მოქმედებდა... კაზრეთში ისევე, როგორც ჭიათურაში, ზესტაფონში მავნე წარმოებაში ჩაბმული ადამიანებისთვის უსაფრთხოების აუცილებელი ნორმები დაცული არ ყოფილა, ამიტომ უბედური შემთხვევების რიცხვი ძალიან მაღალია, აღარაფერს ვამბობ სიცოცხლის ხანგრძლიობაზე. ტყიბულის მაღაროების ავბედითი ისტორია გავიხსენოთ, სადაც ბოლო წლებში სიკვდილიანობის მსოფლიოში ერთ-ერთი რეკორდული მაჩვენებელი ფიქსირდება. კაზრეთის მადნეულის მუშების პროტესტს სოლიდარობას ვუცხადებ — სრული უფლება აქვთ, იბრძოლონ ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. მათი შრომის უსაფრთხოების ელემენტარულ ნორმებზე უარის თქმა სიცოცხლის ხანგრძლიობის შემცირებას, მკვლელობასაც კი ნიშნავს. რაც შეეხება დაზღვევის გაფართოებას, მავნე წარმოებაა და ეს საკითხი არც უნდა გამხდარიყო საკამათო.

მდინარე კაზრეთულა ჩაედინება მაშავერაში, რომელიც თავის მხრივ ჯერ ხრამში, მერე მტკვარში და ბოლოს, მინგეჩაურის წყალსაცავის გავლით, კასპიის ზღვაში ჩადის. შესაბამისად, დაბინძურების მაჩვენებელი და ხარისხი ვრცელდება არამხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე, არამედ აზერბაიჯანშიც. დაბინძურების მთავარი წყაროები, ე.წ. კულტსაცავები კი გარემოსგან იზოლირებული არაა... გარდა ამისა, აორთქლებით ნალექი სხვა ტერიტორიაზეც ვრცელდება, ამ წყლით მორწყული სასოფლო-სამეურნეო კულტურა კი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის სახიფათოა, ამიტომ ამ პრობლემის მოუგვარებლობა მკვლელობაში ირიბი მონაწილეობაა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფალნი, რუსულ სახელმწიფო კომპანია „ერ-ემ-ჯი“-სთან ერთად, დიდ ფულს აკეთებენ ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე, სააკაშვილის პერიოდში გაუქმებული კონტროლის სისტემა კი დღემდე არაა აღდგენილი“.

საქართველოში ე.წ. სახიფათო საწარმოების პრობლემა ერთ-ერთი უმძიმესია — ასეთი წარმოების სიახლოვეს მცხოვრებლებში დაავადებათა გავრცელების რეკორდული მაჩვენებელი ფიქსირდება, აღარაფერს ვამბობ კომპანიის თანამშრომელთა მდგომარეობაზე. კერძო კომპანიებისა და საბიუჯეტო ინტერესებმა თაობების ფიზიკური განადგურება არ უნდა გამოიწვიოს. ეს საკითხი ახალი მთავრობის გადაუდებელ რეაგირებას იმსახურებს და ყურადღება არც სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა მოადუნოს.

1. გვერდითი დარტყმა შორი მანძილიდან კრიკეში
2. ხელოვნური აბრეშუმი
3. ხელოვნური ბოჭკო
4. ძველრუსული „კოკა-კოლა“
5. ველური ვაზი
6. მდინარე შუა აზიაში
7. სურათის წინასწარი მონახაზი
8. ესპანელი პოეტი
9. ძველინდური ტრაქტატი სიყვარულის შესახებ
10. დათა თუთაშხიას ვაჟის სახელი
11. ცხენის კუდის ბეწვი
12. ოთხი წერტილი კამათელზე
13. „საახალწლო ხე“
14. ბოსტნეული მცენარე
15. თვალის ფერადი გარსი
16. ადამიანის ბიოველი
17. ეკლიანი ბალახი
18. რაიმე საზღვრებს შორის არსებული სივრცე
19. სახელმწიფო აფრიკაში
20. საფრანგეთის პრეზიდენტის სახელი
21. ტოპ-მოდელი ... კემპბელი
22. (ისტ.) თბილისის არაბი მმართველის ტიტული
23. ხშირი და დაბურული ტყე
24. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
25. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში
26. ინდოეთის ნაციონალური ფრინველი
27. რუსული ჭადრაკის გენიოსი
28. წყალქვეშა ცურვა აკვალანგით
29. უსახელო მოკლე მოსასხამი
30. ხოხბის ბარტყი
31. მეეტლის დასავლეთი ადგილი ეტლში
32. „სამი იმპერატორის ბრძოლის“ ადგილი (1805წ)
33. მალტის დედაქალაქი
34. ნოველა „ღვინის ქურდების“ ავტორის სახელი
35. ქართული საბრძოლო ხელოვნება
36. ქართული ანბანის ბოლო ასო
37. ბრტყელი მაგარი ჩალის შლაპა
38. კერძო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულება
39. გრიბოედოვის კომედია „... ჭკუისაგან“
40. მთიანი მხარე რუსეთში
41. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
42. ქიმიური ელემენტი, მეტალი
43. სოლომონის კუნძულების დედაქალაქი
44. არტურ ... დოილი
45. ახალი ზელანდიის აბორიგენი
46. საკონდიტრო ნაწარმი
47. ძვირფასი თვლებით მოჭედილი ყელსაბამი
48. საშემოდგომო ხორბლის ადგილობრივი ჯიში
49. ფრანკთა მეფე პიპინ-...
50. სპორტული ნაწარმის ფირმა
51. ჯუზეპე ვერდის ოპერა
52. საკურორტო ქალაქი კვიპროსზე
53. ნაპოლეონის საყვარელი ცხენის სახელი
54. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
55. დიზაინერ ვერსაჩეს სახელი
56. ქიმიური ელემენტი, მჩატე ლითონი
57. მდინარე ხრამის მეორე სახელწოდება
58. მიხოს ცოლი ქართულ ანეკდოტებში
59. გუნდური შეჯიბრების სახეობა სპორტში
60. მხედართმთავრის ადიუტანტი აღმოსავლეთში
61. კურკოვანი ხილი
62. პოპულარული თურქული სერიალი
63. მტკნარი წყლის დელფინი
64. ეგვიპტის დედაქალაქი
65. პერუს დედაქალაქი
66. დამუხტული ატომი
67. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო
68. კუზიანი კურდღელი
69. მიწაში ამოთხრილი ადგილი
70. კალათბურთის „დაფა“
71. საფრანგეთში მოღვაწე ამერიკელი იმპრესიონისტი
72. თურქული მარგარინის მარკა
73. ცის ღმერთი შუმერულ მითოლოგიაში
74. ქვეყანა წყნარი ოკეანის სამხრეთში
75. იაპონიის ყველაზე მცირე კუნძული
76. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
77. საბჭოთა მულტსერიალი „..., დამაცადე!“
78. ნბა-ს ვარსკვლავი შაკილ ...
79. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
80. თოვლის კაცი
81. კამერუნის დედაქალაქი
82. ძვ. ებრაელი წინასწარმეტყველი
83. თვლებიანი მომცრო საზიდარი
84. არაბთა გაერთიან. საამიროების დედაქალაქი ...-დაბი
85. ძალოსანთა სპორტული იარაღი

„სასაფლაოს“ კოსმოსში მოაწყობენ

ამერიკული კომპანია Elysium Space კოსმოსში სასაფლაოს მოწყობის იდეით გამოდის და კლიენტებს სთავაზობს კრემირებული გვამის ორბიტაზე გატანას, სულ რაღაც 1990 დოლარად. რამდენიმე თვის განმავლობაში ფერფლიანი ურნა დედამიწის გარშემო იტრიალებს, შემდეგ კი ატმოსფეროს დაუბრუნდება და დაიწვება. მიცვალებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს საშუალება ექნებათ, თვალი ადევნონ საყვარელი ადამიანის ფერფლის უკანასკნელ გზაზე გაცილების პროცესს შესაბამისი მოწყობილობის მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ სასაფლაო „საძმო“ იქნება, რადგან კოსმოსში ერთბაშად 80 კაფსულას გაგზავნიან გარდაცვლილთა ფერფლით. ახლობლების სურვილის მიხედვით, კაფსულაზე გამოსათხოვარი სიტყვების დაწერაც იქნება შესაძლებელი, Elysium memorial-ის კოსმოსურ ხომალდებს კი კანავერალის კონცხიდან გაუშვებენ.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲘᲚᲘ — წვრილმანებით დაკავების დრო არ გაქვთ. სჯობს, ერთი მომართულება აირჩიოთ. კომპრომისზე წასვლაც მოგიწევთ, გარშემომოფებთან ურთიერთობაში გაუგებრობა რომ აიცილოთ თავიდან.

ᲙᲣᲠᲝ — შეეცადეთ, დისტანცია დაიცვათ გარშემომოფებთან და უველაფერს ნუ დაიჯერებთ, რისი მოსმენაც მოგიწევთ. არ არის გამორიცხული მოგატყუონ.

ᲪᲣᲙᲔᲠᲘ — ვარსკვლავები არ გირჩევენ მოვლენების ფორსირებას. საშიროა, ჯიუტად განაგრძოთ დაწყებული საქმის კეთება და წესრიგი დაამყაროთ უველგან. მით უმეტეს, რომ სხვების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღე სწრაფად ჩაივლის და მოვლენებით გადატვირთული იქნება. სასიამოვნო შეხვედრები და ახალი გატაცება გელით, მხოლოდ ნუ ეცდებით მოვლენების დაჩქარებას.

ᲚᲝᲛᲘ — დღე საკმაოდ რთული იქნება. საყვარელი ადამიანი უამრავ საზრუნავს გაგიჩენთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ეს ველაფერი დროებითია.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — სერიოზული წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწევთ და წარმატებაც არ დაყოვნებს. თუ გაქვთ არარეალიზებული იდეები, სწორედ ახლაა შესაფერისი დრო მათი განხორციელებისთვის.

ᲯᲘᲯᲘᲜᲘᲠᲘ — თამამად დაგეგმეთ დღე ისე, როგორც გსურთ, თუმცა შეეცადეთ, გადადებული საკითხები მოაგვაროთ — შედეგებით საკმაოდ კმაყოფილი დარჩებით.

ᲦᲠᲘᲐᲜᲬᲐᲚᲘ — თუ სიმტკიცესა და მიზანსწრაფულობას გამოიჩენთ, ველა პრობლემას მარტივად გაუმკლავდებით, დაგეგმილი მოლაპარაკებები სასურველი შედეგით დასრულდება.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡᲐᲜᲘ — უამრავი ახალი იდეა გაქვთ, თუმცა ამაღლებული განწყობა შეიძლება იმან გაგიფუჭოთ, რომ ხელმძღვანელობა დირსეულად არ აფასებს თქვენს მუშაობას.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — წარმატებას მიაღწევთ როგორც სამსახურში, ისე საქმიანობის სხვა სფეროებშიც. საკუთარი პოტენციალი იქ გამოიყენეთ, სადაც თქვენი ნამდვილად ესმით და გენდობიან.

ᲛᲔᲠᲜᲧᲣᲚᲘ — დღე, წინააღმდეგობებით სავსე აღმოჩნდება. ერთი მხრივ, საკმაოდ აქტიური იქნებით, მაგრამ მეორე მხრივ, შემოთავაზებული წინადადებები, შესაძლოა, არც ისე საინტერესო აღმოჩნდეს, როგორც თავიდან წარმოგიდგენენ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ — ერობაშად რამდენიმე საქმის კეთება მოგიწევთ. შეეცადეთ, დრო ფუჭად არ გაფლანგოთ. სადამო კი დროის სასიამოვნოდ გატარებასა და პარმონიულ ურთიერთობას გეპირდებათ საყვარელ ადამიანთან.



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.
რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ

ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲣᲭᲘᲡ ᲬᲧᲚᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲒᲘ

ბრიტანელმა სწავლულებმა მანჩესტერის უნივერსიტეტიდან კარტოფილში აღმოაჩინეს უნიკალური მოლეკულა, რომელსაც ჯერ სახელიც არ გააჩნია, სამაგიეროდ ცნობილია, რომ კლავს კუჭში ანთებითი პროცესის გამომწვევ ბაქტერიებს, თანაც გაცილებით ეფექტურად, ვიდრე ტრადიციული ანტიბიოტიკები. ცნობილია, რომ კუჭის წყლულს იწვევს ბაქტერია Helicobacter pylori, რომლის სამკურნალოდაც ძირითადად, ანტიბიოტიკებს იყენებენ, მაგრამ სამწუხაროდ, მათი გამოყენება ნაწლავურ მიკროფლორას აზიანებს, რაც თავის მხრივ, იმუნურ სისტემას აქვეითებს. კუჭის წყლულის მკურნალობის ახალი მეთოდი უკვე დაპატენტებულია და ალბათ, მალე გაყიდვაში გამოვა „კარტოფილის წვენი“, როგორც საკვები დანამატი. მკვლევარების აზრით, ამ მარტივი მეთოდით, ნებისმიერი ადამიანი შეძლებს ბაქტერიული წყლულის პრევენციას.

ᲨᲝᲙᲝᲚᲐᲓᲘ — ᲒᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ

ამერიკელი სწავლულების განცხადებით, ყოველდღიურად ერთი ფილა შოკოლადის მიღება გულის დაავადებებისა და ინსულტის განვითარების რისკს 39%-ით ამცირებს. მრავალწლიანმა კვლევამ, რომლის პროცესშიც მეცნიერები 35-დან 65 წლამდე ასაკის, 30 ათასამდე ადამიანს აკვირდებოდნენ, დაადასტურა წინასწარი მონაცენები კაკაოს მარგებლობის შესახებ. კაკაოს მარცვლები შეიცავს ფლავანოლებს, რომელიც ზრდის სისხლში აზოტის ჟანგის შემცველობას და აუმჯობესებს სისხლძარღვების ფუნქციონირებას. ასე რომ, ერთი ნატეხი შოკოლადიც კი მარგებელია ორგანიზმისთვის, ხოლო დიდი რაოდენობით პროდუქტი მიოკარდის ინფარქტისა და ინსულტის რისკს ყოველ 10 ათას ადამიანზე, 85-ით ამცირებს.

Appraisal.llc

ᲨᲞᲡ „ᲐᲠᲐᲠᲐᲘᲡᲐᲚᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ,

ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ №16Ა
ᲢᲔᲚ.: (5)99 22 98 33
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: a.purtseladze@gmail.com

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲘᲚᲘ — თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი დაბალ დონეზეა. არ არის გამორიცხული სკანდალი დიდი ხნის პარტნიორთან. კამათი და ორმხრივი წუება ურთიერთობის გაწყვეტამდე მიგიყვანთ.

ᲙᲣᲠᲝ — საქმიანობის სფეროს შეცვლაზე სერიოზულად ფიქრობთ. ნუ გაუშვებთ ინიციატივასა და შანსს ხელიდან, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ახლობლების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ.

ᲪᲣᲙᲔᲠᲘ — შესაძლოა, უსიამოვნება შეგეშმეხვეთ, სავარაუდოა ახლობელ ადამიანთან დაკავშირებული პრობლემებიც — ბევრი რამ სწორედ თქვენს გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღეს რეალიზებულმა პროექტმა, შესაძლოა, საფუძვლიანად შეცვალოს თქვენი ცხოვრება — დაფიქრდით რამდენად ხართ მზად ასეთი რადიკალური ნაბიჯისთვის.

ᲚᲝᲛᲘ — არსებული პრობლემები ნელ-ნელა გვარდება, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ მალე ეს ადფრთოვანება იმედგაცრუებით შეიცვლება.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — საკვარაუდოა მსხვილი ფინანსური დანაკარგი, სამსახურში უსიამოვნებას რომ თავი აარიდოთ, არავის გაანდოთ თქვენი გეგმები. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს და ნუ იჩხუბებთ წვრილმანებზე.

ᲯᲘᲯᲘᲜᲘᲠᲘ — დღის პირველი ნახევარი უსიამოვნებებით აღინიშნება. შესაძლოა კონფლიქტი კოლეგებთან ან უფროსობასთან, ამიტომ მოთოკეთ ემოციები და მთელი ყურადღება სამუშაოზე გადაიტანეთ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲬᲐᲚᲘ — ყურადღებით იყავით, ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, სჯობს დაიცადოთ. ვიღაც კვლავ ცდილობს თქვენს განერვიულებას.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡᲐᲜᲘ — დაძაბული დღე გაქვთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გაწყვეტა გელით, მაგრამ თუ ყოველ სიტყვას კარგად აწონ-დაწონით, კონფლიქტის თავიდან აცილებას შეძლებთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — მოსალოდნელია პრობლემები უფროსობასთან, ამიტომ ვიდრე რამეს მოიმოქმედებთ, ჯერ შესაძლო შედეგებზე დაფიქრდით. ოჯახში უთანხმოებამ შესაძლოა, ნერვულ აშლილობამდე მიგიყვანოთ.

ᲛᲔᲠᲜᲧᲣᲚᲘ — დღე ცხოვრებისეული იდეალებისა და პრინციპების დაცვას უკავშირდება, მოულოდნელი წარმატება გელით — დიდსულოვნება და გულუხვობა უნდა გამოავლინოთ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ — პასიური დღეა — არასასურველი პერიოდია სიახლეებისთვის, ცვლილებებისთვის, მოგზაურობისთვის. არ არის სასურველი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

					9		3	
9	5	4		6		8		
		2						5
		7	3					8
			1	7	6			
4					5	6		
3						2		
		8		2		3	5	7
	1		6					

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	6				9			4
		3		8		7		
4			7	6			9	
			4			8		
	8						5	
		4			2			
	2			4	3			5
		6		7		1		
1			5				7	

ᲠᲗᲣᲚᲘ

6		9		1			4	2
			9				7	
					3			8
	2				4			
8				2				3
			1				6	
5			8					
	6				1			
2	4			6		5		1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3							4	
2						1		
8			1	2	9	7		
5				8	2			
1			6	5	4			9
			9	1				6
		5	4	6	1			7
		1						4
	3							5

ყავა და სიგარეტი პარკინსონიზმის წინააღმდეგ

ამერიკელი მეცნიერების მონაცემებით, პარკინსონით დაავადებული ადამიანები ნაკლებად არიან მწეველები და ყავის გაცილებით ნაკლებ რაოდენობას მოიხმარენ, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანები, არადა მკვლევართა აზრით, ყავასა და ნიკოტინს მართლაც შეუძლია დაიცვას ტვინი ნეიროდეგენერაციული დაავადებებისგან. მოწევის კავშირი პარკინსონიზმის განვითარების დაბალ რისკთან დიდი ხანია ცნობილია მეცნიერებისთვის, ამავე დროს, ბევრი ექსპერტი ამ დაავადებას გენეტიკურად მიიჩნევს, თუმცა სიგარეტისადმი მიდრეკილების არ არსებობა პარკინსონით დაავადებულებში შეიძლება ასევე გენეტიკურად იყოს განპირობებული. ამ ჰიპოთეზის შემოწმება მაიამის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გადაწყვიტეს. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო პარკინსონით დაავადებულმა 356-მა ადამიანმა და 317-მა ასაკოვანმა მოხალისემ, რომელთა ახლო ნათესავებსაც ამ დაავადების პირველი ნიშნები გაუჩნდათ. გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ პარკინსონიზმით დაავადებულებში მწეველი 40%-ით ნაკლები იყო, ვიდრე ჯანმრთელ მოხალისეებში. გამოკვლევების მონაწილეები ასევე 40%-ით ნაკლებად ყავის მოყვარულები აღმოჩნდნენ. როგორც კვლევების ავტორები აღნიშნავენ, მიზეზები, რომლის გამოც ყავისა და სიგარეტის მოხმარება პარკინსონიზმის განვითარების რისკს ამცირებს, ჯერჯერობით უცნობია, ეს კანონზომიერება შეიძლება დოფამინურ ცვლას უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ პარკინსონიზმს ნეირონების მასობრივი სიკვდილი იწვევს, რომლებიც სწორედ ამ ნეირომედიატორს გამოიმუშავებს, ყავასა და ნიკოტინს კი შეუძლია თავის ტვინში მისი დონე აწიოს. გარდა ამისა, ზოგიერთი გამოკვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ ნიკოტინი ნეიროტოქსინებს ბლოკავს, რომლებიც დოფამინის გამომმუშავებელ ნერვულ უჯრედებს ანადგურებს.

მეტი სექსი – მეტი ფულის

ბრიტანელმა სწავლულებმა კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ სექსის ინტნესივობა და ფინანსური კეთილდღეობა პირდაპირპროპორციულია. კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტების კვლევამ აჩვენა: ადამიანები, ვისი ინტიმური ცხოვრებაც შეიძლება მეტად დატვირთულად ჩაითვალოს, უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებენ და ეს ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებსაც. ადამიანს უნდა უყვარდეს და თავადაც იყოს საყვარელი, ამის გარეშე ბევრს აწუხებს დეპრესია და ეს სამუშაოზეც აისახება, — აცხადებენ სწავლულები და დასძენენ, რომ ადამიანს ჯერ ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აინტერესებს — ჭამა და სექსი, ამის შემდეგ კი აღწევს წარმატებას სხვა სფეროებშიც, ხოლო თუ ამ ძირითადი მოთხოვნილებების უკმარისობას განიცდის, სხვა ფუნქციებსაც ცუდად ასრულებს. ბრიტანელების გამოკვლევაში 26-დან 50 წლამდე, 8 ათასი მოსახლე მონაწილეობდა — აღმოჩნდა, რომ ვისაც კვირაში მინიმუმ ოთხჯერ ჰქონდა სექსი, 5%-ით მეტს გამოიმუშავებდა, ვიდრე ამ სფეროში ნაკლებად აქტიურები.

„სინჯარის ბავშვებს" სიმსივნე აქვთ

ლონდონის ბავშვთა ჯანმრთელობის ინსტიტუტის სპეციალისტები, რომელთაც ექსტრაკორპორალური განაყოფიერების (ეკო) შედეგად ჩასახული 100 ათასი ბავშვის სამედიცინო ბარათები შეამოწმეს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დანარჩენი მოსახლეობისგან განსხვავებით, მათ პრაქტიკულად, არ აქვთ ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკი. ახლა მეცნიერები სხვა მიმართულებით მუშაობენ და ცდილობენ შეისწავლონ კავშირი ეკო-სა და ონკოლოგიურ დაავადებებს შორის. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ბრიტანეთში სულ უფრო მეტი „სინჯარის ბავშვი" იბადება. მხოლოდ 2010 წელს ასეთი 13 778 პატარა გაჩნდა. ეკო-ს პროცედურის ყველაზე ინტენსიური გამოყენებით კი ისრაელი ლიდერობს.

დაამთქნარეთ და... მიირთვით ყავა

სამხრეთ აფრიკაში, იოჰანესბურგის საერთაშორისო აეროპორტში უჩვეულო სავაჭრო ავტომატი დადგეს, რომელიც ყავას სრულიად უფასოდ იძლევა. ნუ იფიქრებთ, თითქოს მანქანის პროგრამა აირია, უბრალოდ, ეს კომპანიის ეშმაკური ჩანაფიქრია, რომელიც ყავის წარმოებითაა დაკავებული. ერთი ჭიქა ცხელი არომატული სასმელის მისაღებად საჭიროა, ავტომატის წინ დადგეთ და დაამთქნაროთ. მწარმოებლები დარწმუნებულნი არიან საკუთარი პროდუქტის გამამხნევებელ თვისებებში და სჯერათ, რომ მათ მიერ წარმოებული ყავის დალევის შემდეგ, ძილიანობა საერთოდ გაქრება.

წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	9	7	6	3	5	2	4	1
6	5	4	8	1	2	3	9	7
3	2	1	9	4	7	8	6	5
1	4	6	7	8	9	5	2	3
7	3	5	4	2	1	9	8	6
2	8	9	5	6	3	1	7	4
5	7	8	3	9	6	4	1	2
4	1	3	2	7	8	6	5	9
9	6	2	1	5	4	7	3	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	1	8	7	9	2	5	4	3
7	5	4	3	8	1	2	9	6
3	2	9	6	4	5	1	8	7
1	8	7	2	6	4	3	5	9
5	9	3	1	7	8	6	2	4
4	6	2	5	3	9	8	7	1
9	7	1	8	5	6	4	3	2
8	3	6	4	2	7	9	1	5
2	4	5	9	1	3	7	6	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	7	4	6	1	2	8	5	3
5	6	3	4	9	8	2	1	7
2	1	8	7	5	3	6	9	4
4	2	5	3	8	1	7	6	9
3	9	7	5	6	4	1	2	8
6	8	1	2	7	9	3	4	5
1	5	2	8	4	7	9	3	6
8	3	6	9	2	5	4	7	1
7	4	9	1	3	6	5	8	2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	8	7	6	5	2	1	9	4
9	5	6	4	1	3	8	7	2
4	2	1	7	9	8	3	6	5
8	9	5	2	3	7	6	4	1
2	1	4	8	6	9	7	5	3
6	7	3	5	4	1	9	2	8
1	6	8	9	2	5	4	3	7
7	4	2	3	8	6	5	1	9
5	3	9	1	7	4	2	8	6

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).